

მ რ ი

№ 2.

20 სექტემბერი 1909 წ.

ქვირპული საკოლიტიკო, სამცხენირო ჯ სალიტერატურო შუროალი

შინაარსი: საერთო ხელშეკრულება გლეხებსა და მემამულეებს შორის. —რუსთაველის ნეშტს, ვაჟა-ფშაველასი.—ერის უფლება, Baton-ისა.—მინიატიურები. (გარეული ბატი) ნ. ლორთქიფანიძისა.—გაროზგილი, მოთხრობა, ი. ელეფთერიძისა.—მელოდია,—ლექსი ი. გრიშაშვილისა —შინაური შიმონილეა. ჩემს მუხას, ია ეკალაძისა.—თეატრი, B-ისა.—სიმღერა, ლექსი ი. მჭედლოშვილისა—ქართულ სამართლის ისტორია, ი. ჯავახიშვილისა

საერთო ხელშეკრულება გლეხებსა და მემამულეებს შორის.

ჩვენს ცხოვრებაში არც ერთი საზოგადოებრივი ელემენტი იმდენ შევიწროებას არ განიცდის, რამდენსაც გლეხი. ის დღესაც უუფლებო წევრია საზოგადოებისა. მას ბევრს სთხოვენ, ხოლო მკირდესაც არ უბრუნებენ. მოვალეობა უთვალავი აწევს, ხოლო ამ მოვალეობასთან სახსენებელიც არაა ის უფლება, რომელიც მას მიენიჭა და რომელიც დღეს თითქმის სრულიადაა მოსპობილა სხვა-და-სხვა ადმინისტრაციულ განკარგულებათა წყალობით. სამწუხაროდ, ზოგადი კანონია, რომ რამდენად ორგანიზმი დასუსტებულია, იმდენად მას ბევრი პარაზიტი ახვევია. ამ აზრის საუკეთესო ილუსტრაციას ჩვენი ცხოვრება იძლევა. სადაც მემამულე ძლიერი იყო, ფეოდალობას მაგრად ედგა ფეხი, იქ გლეხი მიწასთან გასწორებული იყო და ამიტომაც მისი გამყვლეფიც ბლომად მოიპოვებოდა. შედარებით ძლიერი იყო ფეოდალობა ქართლში. და აი კიდევ ქართლშია ისეთი ჩარჩების ბუდეები, როგორცაა ცხინვალი, გორი, სურამი და სხვ. ქართლის სოფლებში უთვალავი ჩარჩია, რომელიც ხაჯს დაუნდობლად სცარცავს. ტყუილად კი არ გაამზავრა ქართლში საჩარჩოდ ნიქიერმა ბელეტრისტმა ლ. არდაზიანმა თავისი გმირი სოლომონ მეჯღანუაშვილი. ფეოდალობის სიძლიერემ გასტეხა წლში გლეხი და უფლებრივად ისე დაასუსტა, რომ არამც თუ იარაღით შემკული მოთარეშე ამილახვარი მისთვის საშიში შეიქმნა, არშინით შეიარაღებული მეჯღანუაშვილმაც მისი ბატონი გახდა. გაიხსენეთ მეორე უკვე თანამედროვე ბელეტრისტის არბოელის მოთხრობა „ყოველის მხრიდან“, სადაც ბუნებისაგან განადგურებულ გლეხს კარზე მიადგებიან ერთი მხრიდან მღვდელი, ხოლო მეორე მხრიდან ჩარჩი ურია და სომეხი. ეს დაუძლეურება ქართლში იქამდის მივიდა, რომ გლეხის განსაკუთრებული ტიპი შეიქმნა. ქართლელი გლეხი სულ სხვანაირად იცავს, სხვანაირად დადის, სხვანაირად ცხოვრობს, ვიდრე მის გვერდით მცხოვრები ფეოდალი ან გუშინდელი

11 509

ჩარჩი, დღეს კი შემძლე სოცდაგარი. იმერეთში ფეოდალობა ისე ძლიერი არ იყო, ამიტომაც იქ განსხვავებაც არ არის ძლიერი. მაგრამ აი ძლიერი საჩხერის ფეოდალები და მათ თან ახლავან ჩარჩები, რომელნიც მეორე ტყავს აძრობენ გლეხს. ეს სწორედ ისეა, როგორც ბუნებაში. როცა ლომი სანადიროდ მიდის, უსათუოდ უკან მელთა მისდევს, რომელიც იმის მოლოდინშია, რომ ლომი ნადირს იგდებს ხელში და მეც ნასუფრალი მერგებაო. ჩარჩი სხვა-და-სხვა გზით აძრობს ტყავს გლეხებს. სარგებლობს გლეხის გაკირვებით, როცა ამ უკანასკნელს არ შეუძლია გაისტუმროს მემამულე ან სახელმწიფო, ასესხებს ფულს და წინდაწინ ყიდულობს მოსავალს, რა საკვირველია, ჩალის ფასად. ჩარჩი იგირავებს წვრილ მესაკუთრის მამულს, თავის უკედავად ე. ი. ხელუხლებლად სტოვებს, ხოლო ნათავნში ყოველ წლობით მოსავალი მიაქვს. ამითაც არ კმაყოფილდება. რადგან გლეხს თავისი მამული არ ყოფნის, ამიტომ ის იძულებულია მიმართოს მემამულეს. აქაც შუაში ჩარჩი ჩამოდგება. ჩვენ შემთხვევა გვქონდა წელს გაზაფხულზე ბორჩალოში დავსწრებოდით ჩარჩებს და გლეხების შეჯიბრებას. სხვათა შორის ამ შეჯიბრების დროს გამოირკვა, რომ მემამულის სიმპატია ჩარჩების მხარეს იყო, თუმცა გლეხები მემამულისთვის არა ნაკლებ სასარგებლო პირობებზე თანხმდებოდნენ. რასაკვირველია სოფლის ბობოლები ჩუმად მოქმედებდნენ. გაიგეს გლეხებმა, თუ რა უბედურება მზადდებოდა მათთვის, აფრინეს კაცი მემამულესთან, რომელიც ტფილისში სცხოვრობდა, იმავე დროს მიმართეს თხოვნით შუამდგომლობისათვის მახრის უფროსს, მომრიგებელ შუამავალს, მაგრამ ბობოლებმა მაინც თავისი გაიჯანეს. რამდენადაც ვიცით, ეს მემამულე დღეს არჩეულია ერთს თავად-აზნაურობის თანამდებობაზე. რასაკვირველია, ჩვენ კარგად გვესმის, თუ რა ინტერესების წინააღმდეგობა არსებობს მუშა გლეხსა და მამულის გამცემ მესაკუთრის შორის. ამ წინააღმდეგობის გადაჭრა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ მამული მის დაშლულეგებელს დაესაკუთროს. მაგრამ სანამ ეს საკითხი საკითხად რჩება, მანამდის მემამულენი როგორც



მათი ინტერესებისათვის, ისე საქვეყნო ინტერესებისათვის ვალდებულნი არიან მეტი ყურადღება მიუქციონ გლეხებს და იქ არ გაამწვავონ საქმე, სადაც ამას ვარემოება არ მოითხოვს. გაიხსენეთ გლეხთა მოძრაობა ჩვენში. სადაც გლეხი უფრო დაჩაგული იყო, სადაც მემამულე მას ნაკლებ უწევდა ანგარიშს, იქ მოძრაობამ უფრო სასტიკი და ხშირად პირდაპირ ბარბაროსული ხასიათი მიიღო. და თუ ის აზრი მართალია, რომ რასაც დასთესავ, იმასვე მოიპოვო, მაშინ იძულებული ვიქნებით აღვიაროთ, რომ ნიადაგი მოპირდაპირეთა გაწიწმამდგებას და დაუნდობლობას თვით მოწინააღმდეგე მხარეებმა მოაშხადეს, და მათში პირველები იყვნენ მემამულენი. მას შემდეგ, რაც საზოგადოება არსებობს, ინტერესთა წინააღმდეგობაც არსებობს. მაგრამ ეს კი არ ნიშნავს, რომ დღეს ძლიერს არ უნდა ესმოდეს მის მიერ დამონებული გაქირვება, გმინვა; ეს კი არ ნიშნავს, რომ გაბატონებული კიდევ უფრო აძლიერებდეს, სასტიკ სახეს აძლევდეს თავის ბატონობას, პირ იქით მისი ინტერესი მოითხოვს, თუ პირბადეს არ ჩამოაფარებს არსებულ ურთიერთობას, ისე მაინც უნდა დაიჭიროს თავი, რომ თავის საქმეც გაიკეთოს და არც თავის მოპირდაპირეს თავისთვის უსარგებლოდ სული შეუწყუხოს. თუ ასეთი შეხედულობის იქნება მემამულე; მაშინ, ცხადია, ის ყოველ უწინარეს ეცდება საქმე პირდაპირ გლეხებთან დაიჭიროს და ისედაც ეკონომიურად დამონებულს ზედმეტი ტვირთი არ დააკისროს. საქირაა, რომ ამ შეხედულებას დაადგეს მთელი წოდება თავად-აზნაურობისა, რომელსაც თავისი ორგანიზაცია აქვს და მაშ შემოღწაც აქვს რაოდენადმე მაინც ცხოვრებაში თავისი პოლიტიკა აწარმოოს. მეორე მხრით არც ის მოჩილებათა შესაწყნარებელი, რომელსაც გლეხი ხშირად მის მყველეთაგან წინაშე იჩენს, და როგორც გესლიან გველს პირში ზეგარდება მის მიერ მოხიზლული ჩიტი, ისე ყოველივე გამველეს და გამოველეს თავს აცარძვიებს. მართალია ფულთან და შეძლებულს მხარს უჭერენ ისინი, ვისაც ძალა ხელში აქვსთ და ამნაირად მათ თარეშობას ამართლებენ, მაგრამ თუ სოფელში მეტი შეგნება და ერთმანეთის გატანა იქნება; ვერც ერთი იმისთანა ვაჟბატონი, რომელიც სოფლის წინააღმდეგ მიდის, სოფელს სჩაგრავს, ამ სოფელში ფეხს ვერ გაადგამს, ვერ გაბედავს სოფლის წინააღმდეგ წასვლას. მაშინ კი სოფლისთვისაც ადვილი იქნება პირდაპირ მემამულესთან დაიჭიროს საქმე და არ აძლიოს ზედმეტი გადასახადი შუა კაცს, ის გადასახადი, რომელიც ხშირად გაცილებით სჭარბობს მემამულის მიერ მიღებულ იჯარას.



რუსთაველის ნექსი.

მოსანო საქართველოსავ,
 წამოიხედე ზიზედა,
 იხილე შენი სამშობლო,
 მიმოიარე მზეხედა.
 შენი ერისა ჰაბუქნი
 გაიმბორებენ ხელხედა:
 მართლდება შენი ნათქვამი
 ათასზე, განა ერთზედა,—
 თავისუფლდება მონები,
 შენ გულს რომ გქირდა წყლულადა;
 ნეხვთა და ვარდაც ლამის რომ
 მზე მოფენოს სწორადა...
 აღარ ვართ გუშინდელეები,
 ვიქცევნი ერთი-ორადა.
 წამოგვეზარდნენ ჰაბუქნი,
 ჰნახო, სცნობ არწივ-ქორადა!
 თავს სწირვენ ნესტანისათვის
 ტარიელივით ლომადა...
 და ივერიის დიდებას
 ხალხს აუბნებენ შორადა.
 აღსდევით, ცამდე ავმაღლდით
 ნათქვამნი ჩასაქოლადა.
 თუ არ წამოხვალ, მანდ მოვლენ,—
 დღემდის ბევრებსაც ჰნახავდი.
 ვიცი, რომ ვიამებოდა,
 გულს ვარდად დაისახავდი
 სახესა ვაჟკაცებისას.
 მიიღე როგორც შვილები
 თავ-დადებულნი ქვეყნისთვის,
 შენის სამშობლოს გპირები.
 აკურთხე შენის მარჯვენით
 ეგ მარგილიტის დილები,
 სამშობლოს მკვრდით აქრილნი,
 მისთვის დამწვარი ცვილები...

ვაზუ-ფშაველია



ერის უფლება.
 II.

ანას ვიტყვით იმ ძველ დროზედ, როდესაც ხალხს
 თა შიდას ერთბაშ ან დაჯგ უფრო სჯულსხედა და სსუა
 ნიადაგზედ ვითარდებოდა, ვიდრე წმინდა ერთყულ
 შეგნებაზედ. თუმცა ვა ჭეშმარიტებას, რომ ყოველ
 ისტორიულ ეპოქაში, როცა რომელიმე ერთ მიაღწევდა
 ხელმე განვითარებულ ინდივიდუალობას და თვით-შეგ-
 ნებას, ყოველთვის სტადიკობდა ან უფრო განუმტკიცე-

ბინა თავისი ერთგული შეკრება, მოქმედებს და ძლიერება, ან და გაერთიანებულია თავი სხვა ერთი ბატონობისაგან, თუ იგი დახურული იყო და უცხო სთავად იყენებდა მისს სამშობლო მიწა-წყალს. ზღვრულანდია საუკეთესო მაგალითია ასეთი განთავსებულია: მან დააღწია თავი ესპანის იმპერიის ბატონობას და ისე გაძლიერდა, რომ თვითონ დააარსა ძლიერი სავაჭრო იმპერია მეთექვსმეტე საუკუნეში,— ისეთი ძლიერი, რომ მოხლოდ ინგლისს შეეძლო მისი მატკაქობა და დაპარტყობა. მაგრამ მიუხედავად ამისა იგი მაინც თავისუფალი, ძლიერი, კულტურული და თავმოყვარე ერად დარჩა და დღესაც არის. მიუხედავად მერსნამეტე საუკუნის.

ნახალციხის რეპრეზენტაციის არა-დასრულებული პოლიტიკური რუკა, ნახალციხის წადლი მთელი ქვეყნის დამორჩილებისას ისეთი ძლიერი იყო და თითქმის ადვილად აღსასრულად მისი სამხედრო გენიოსობის წყალობით, რომ ერთი თავისუფლება-ი არა, სახელმწიფოებსაც ბოლო ეღებოდათ. ევროპა დამორჩილ ნახალციხს, რომელსაც არა სწამდა არც ერების თავისუფლება და არც სახელმწიფოთა უფლებანი,— მის მოხლოდ თავისი საკუთარი და საფრანგეთის ჰიერარქიის სწრაფად, მათი უფლებანი სწამდა და არ იტოვებდა, რომ ეს შერჩენამეტე საუკუნეში შეუძლებელი იყო. გერმანიის გენიოსობა ერთი დამანახისა, გერმანიის სიძლიერე ერთი სახელმწიფოთა ვერ ათქმევინებდა უაზრს ვერც სახელმწიფოებსა და ვერც ერებს თავიანთ თავისუფლებასაც და უფლებებსაც.

ყოველივეს საზღვარი აქვს და ნახალციხის ბატონობისაც დაედა საზღვარი. მთელი ევროპა შეერთდა მასთან სიბრძნელოდ, რომ ბოლო და ბოლო ბოლო მთელი ამ სამხრეთი ძალის თარეშისთვის, რომ მშვიდობიანობა დაეკავდრებინა არეულ-დაბნულ ევროპაში, აღედგინა უფლებანი კაცსხელ სახელმწიფოთა. ხალხი, რასაკვირველია, მოკავშირე სახელმწიფოებს ფიქრადარც არ მოსვლიათ საზოგადოდ ერის უფლებათა წამოყენება. შირიქით,— ნახალციხის ბატონობის მოსაზრისი შეიძლება თვითონვე უარ-ჰყვეს ერთი უფლებანი და აღიარეს თავიანთი სახელმწიფოებრივი, სდევნიდენ კიდევ თავისუფლებისათვის მებრძოლ ერებსა. ამ უკანასკნელებმა თვითონვე წამოაყენეს თავიანთი უფლებანი.— მაგრამ ერთი ბატონობის მოსაზრისი სურვილი სახელმწიფოთა მხრივ მაინც გამოჩენა იყო სხვა და სხვა დიდ ერთი უფლებისა, რომელიც შელახეს ფრანგებსა და ნახალციხის.

შომინის ხელ-შეკრულებასა, 1814 წ. 1 მარტს, რომლისაც ავსტრიამ, ინგლისმა, პრუსიამ და რუსეთმა გადასწვეტიეს საერთო ძალით ეამნათ საფრანგეთთან, — შირდაზმ სწევრია: „სახელმწიფოთა ურთა-ერთს ში-

რობას უდებენ, თუ საფრანგეთს არ მიიღო შირობანი მშვიდობიანობისა, იხმარონ ყოველივე საშუალება საერთო ძალით და თანხმობით მისს განსაგრძობად რომ როგორც თავიანთთვის, ისე მთელი ევროპისთვის მოიხეფონ საყოველთაო მშვიდობიანობას, რომელსაც მფარველობა უნდა გაუწიოს ყველა ერის თავისუფლებასა“.

ამგვარად დაიბდა ევროპის თანხმობა, „კონგრესტი“, რომელიც შემდეგ მატკერინში განმტკიცდა ვენის კონგრესტად 1815 წ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რომ ამ კონგრესტმა ბირველადვე აღიარა „თავისუფლება ყველას ერისა“ საერთო მშვიდობიანობის მფარველობის ქვეშ, მას არა სწამდა ნამდვილად ერის თავისუფლება, არამედ თავისუფლება და ხელ-უხლებლობა სახელმწიფოთა, ისიც დიდ სახელმწიფოთა. მალე ეს ბატონობა კონგრესტისას ისეთ რეპრეზენტაციას ძალით გადაიქცა, ისეთ უარ-მოთქვამად ერთი უფლებისა და დამოუკიდებლობისა, ატრეფი ისეთ მტრად ყოველ შინაგან რევოლუციისა, რომ მთელი ევროპა გრძობდა მას სუსის ნახალციხის ბატონობასაც უფრო მწვავედ.

ილახნდია ისევე ისეთობდა ინგლისის კლანტეში, ხალხიანი განაწილებული იყო და ეს დიდი კულტურული ერა, ერთად ერთი მთელ სლავიანებაში, სამ ბატონობას განიცდიდა ერთს მაგიერ. ასმალეთი ძლიერი იყო, იგი არც საერთაშორისო უფლების სიქრებაში შედიოდა, და ბატონობდა განუსაზღვრელად, მხრედად ბლავიანის სლავიანებასაც, ბერძნებსაც. რუმინელებსაც, ეგვიპტელებსაც და სხვებსაც. ისპანიის მონახისა ამერიკის კოლონიებს, უკვე დაზრდულ და დამთავრებულ ერებს, ჰხუთავდა. მონახი არ მოსწონილიყო ჯერ,— ამერიკაში შავ-კანიანების დიდ-გაყიდვა მონახად ძვალს და რბილში გამწვანო ჩვეულება იყო;— მონახი სამხრეთ მატკეში უბრძლო ბირუტყვითა აუხენ ძლახიტაციების დასამუშავებლად. უნგრეთი ავსტრიის ბატონობას და სლავიანების მტრობას განიცდიდა, განაწილებული და დაქსაქსული იტალია ავსტრიის ქუსლით ითლებოდა, გერმანია არ იყო შეერთებული და სხვა.

აი, ამ ერთი ბრძოლის მაგალითით არის სახსრე მთელი მერსნამეტე საუკუნე. ეს ბრძოლა ერთი დიდი მხრე მისი ისტორიისა ეს არის ბრძოლა ერთი, ერის უფლების დიდ სახელმწიფოთა და მათ უფლებათა წინააღმდეგ.

უბარველეს ყოვლისა ისპანიის კოლონიებს ემანსიპაცია დაიწყო. ხრდილო-ამერიკელებმა უკვე განთავსებული თავი ინგლისის ბატონობისაგან და დაიარსეს თავიანთი რესპუბლიკა, — ჯერა ესლ სამხრეთ ამერიკელებსაც იყო მიმდგარი.

ისპანიის მონახისა ასედაც დასუსტებული იყო განსაკუთრებით ინგლისის მატკაქობით ვაჭრობაში და

კოლონიზაციაში. ნაწილობრივ შესრულდა კიდევ უფრო დასუსტა იგი და მთელი ენერჯია ამ შემოსეულ მტრისგან განთავისუფლებას უნდებოდა.

ამერიკის კოლონიებიც უკვე გაიზარდნენ. ადგილობრივი მცხოვრებლებთან შერევით მათ თითქმის ახალი ტომის ურები შექმნიეს. დრომაც მათმა განთავისუფლებიან მობაღწია და ბირჟელად 1810 წელში ბუენოს-აირესში, კარაკასში და მექსიკაში დაიწყო ნამდვილი ჯიხუბა. აქედან იწყება ჯიხუბა მთელ სამხრეთ ამერიკაში, სადაც ვინ იცის რა დევიზითა და რა იდეალის ხსენებით არ იწყებოდა რევოლუცია, მაგრამ ბოლოს დროს უკვლავ გაიტაცებდა ხალხი ერთი დიდი ჯიხუბა, — სრული ჩამოშორება ესპანის მონარქიისგან და დასრულება საკუთარ სახელმწიფოთა. ამ მოძრაობიდან გამოვიდა თანამედროვე რესპუბლიკები სამხრეთ ამერიკისა.

ჯიხუბა მექსიკა, კვიტო, კარაკასი, არგენტინის რევოლუციონერებს უკვე რამდენიმე წლის შემდეგ მთელი არგენტინის ტერიტორია ხელში ეჭირათ და ისპანელების ბატონობა მისხეს. ამ რევოლუციითა გომარა იყო ბოლივარი, რომელმაც რამდენიმეჯერ დაამარცხა ესპანელები, შევიდა კარაკასში 1813 წელს. მან ბევრ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა, ბევრჯერ დამარცხდა ხალხი, მაგრამ უკლს არ იტყვია. ბოლოს, 1816 წელს, ვენერუელაში მონებრ კი აჯანყა, და ბრძოლა რა მონობის მისხობასა. აქედან იღებს ეს მოძრაობა ნამდვილ რევოლუციონერ ხასიათს: რევოლუცია უკვე მოსდებოდა სამხრეთ ამერიკის უკვლავ ქვეყნებს, — ჩილის, გრენადის მთებსა, ეკვადორსა, პერუსს და სხვა მხარეებს, სადაც ბოლივარი თავისებურ გომობას იხენდა.

1824 წელს, სამხრეთი ამერიკა უკვე თავისუფალი იყო. მანამაში კონგრესიც კი გამართა ბოლივარმა ახალ რესპუბლიკათა შესჯერებლათ, მაგრამ შეერთება შეუძლებელი შეიქმნა. დაჩნენ დაშორებები რესპუბლიკებს, რომლებიც შემდეგ მიიღო საერთაშორისო სამართალმა თავის მფარველობის ქვეშ, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები.

ამავე დროს ბორტუგალიელებისგან განთავისუფლდა ბრაზილია, რომელმაც რეკონტო დონ-პედრო ბრეგანცელი იმპერატორად აირჩია 1822 წელს. შემდეგ ბრაზილიამაც გაუქმდა მონარქია და მიიღო რესპუბლიკის ფორმა მხეჯავსად დაწარჩენ ამერიკელ რესპუბლიკათა.

გენის კონგრესსჯე 1815 წელს ბერძნებმა თხრობით მიმართეს დიპლომატიის მიუღოთ საბერძნეთი სახელმწიფოთა მფარველობის ქვეშ, მაგრამ ურადლება არ მოაქციათ. თავისთავის იმედით დაწნათ ბერძნებს. ოსმალელ ფაშებსაგან განდგურებული იყო მთელი საბერძნეთი. მთელი საბერძნეთის მიწებით სულ ოსმალებმა სარგებ-

ლობდნენ. ბერძენი ნამდვილი მონა იყო ოსმალსი. — 1821 წელს ბერძელი ცდა იყო ბერძენთა ჯიხუბის რუმინიაში ალექსანდრე იპსილანტის მეთაურობით. მაგრამ რუმინიაში ეს ჯიხუბა დამარცხდა. მორეიაში დაიწყო ჯიხუბა. ბერძნებმა მოსხეს ოსმალეთის ოლოტი. აიღეს ათინა 1821 წელს. მიოლისი, მავროვარდატო და სხვა გომრები თავ-განწირულად იბრძოდნენ. 1825 წ. იბრძომი ფაშამ მთელი მორეია განადგურა, მაგრამ ბერძენთა გომობამ და თავგანწირულობამ და ოსმალეთის სიძულვილმა აიძულა ეგობა მიშველებოდა ზარა ერსა. მათ მოაშორეს ბერძნებს თავიდან ოსმალები, განადგურეს რა იბრძომი ფაშის ოლოტი ფრანკებმა, ინგლისელებმა და რუსებმა 1827 წელს. ოსმალებმა 1829 წელს უკვე ადარს საბერძნეთის დამოუკიდებლობა.

ამავე დროს, 1830 წელს ბოლივარში იწყება ჯიხუბა, იმარჯვებენ რუსებზე, მაგრამ 1831 წელს ბოლივარი სრულიად მარცხდება და სდებს მისვერზლად გამარჯვებულთა საშინელ შურის-ძიებისა. აქ გამოჩნდა, თუ როგორ ადარებდა „უკვლავ ერის უფლებას“ ერთი იმ დიდ სახელმწიფოთაგანი, რომელთაც „კონგრესტი“ დაასრეს 1811—15 წლ.

ეს თითქოს ნიშანი იყო ეგობის ერთა ჯიხუბის: სწორედ იმ დიდ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომელნიც ქადაგდებდნენ ადარებდნენ უკვლავ ერის თანასწორობასა და თავისუფლებას. ნამდვილად კი ტერიტორიებს უბრალო სასუქრებსვეთ ანაწილებდნენ და და საზოგადოებათა შიგით ამტკიცებდნენ იმ რეაქციონერ ტახტს, რომლის დამოუძიებელიც მეტტერნიხი იყო.

იტალიამ მახვილი აიღო. დაიწყო ჯიხუბა მილანში, ბოლინიაში და სხვა ქალაქებში 1831 წელს. თვით მანჩოში დაიწყო რევოლუცია.

ამავე დროს ეგვიპტის არაბები სდდილობენ განთავისუფლებას. მიქმიდ ალი ამარცხებს ოსმალებს 1832 წელს და 1839 წელს. ეგვიპტი თავისუფლდება. საერთაშორისო სამართალი მხოლოდ სულთანის სუვერენიტეტს ადარებს ეგვიპტეზე.

იტალიაში ისევე გრძელდება ბრძოლა. მადონი საუკეთესო გომრია ამ ერთეულ რევოლუციისა. 1843—45 წელს მთელი იტალია ჯიხუბის ცენტრშია განხუჯი. 1848 წ. მილანის ჯიხუბა. ნაპოლეონები და ტონკანელები კონსტიტუციის ზოფლობენ ბრძოლით.

1848 წლის რევოლუციაში მთელი ეგობა შეანძრია. საფრანკეთში მას რესპუბლიკანური და ბოლოს სოციალისტური ხასიათი ეჭინდა, გერმანიაში დემოკრატიული და ერთეული. აქედან იწყება გერმანიის ერთეული გაერთიანება. თვით ბრუსიაში დემოკრატიის იმარჯვებს. იმპერატორი ძველი იმპერიისა შეშინებული

ვარბის. შესდგა ფრანკურტის მარლანგენი, სტალი-
 ლობენ მთელი გერმანიის ერთი შეერთება, ერთი, რომელი-
 სანტ ჰქონდა ერთობა ტერიტორიალურ-გეოგრაფიული,
 კულტურული, სულიერი, მსოფლივ პოლიტიკური ერ-
 თობა აკლდა. 1849 წელს პრუსიის მეფის გერმანიის
 იმპერატორად ირჩევენ, მაგრამ უარს ამბობს.

ამავე დროს სლავიანებიც იღვიძებენ. 1848 წელს
 პრაგაში ხეხები სდგებიან, პრუსიაში პოლონელები.
 სხვა სლავიანები უნგრელების წინააღმდეგ იბრძვიან.
 ამით სარგებლობს ავსტრია უნგრელების დასამარცხებ-
 ლად და მარცხებს მათ კიდევ. 1849 წელს რუსეთი
 ეხმარება ავსტრიაელებს უნგრეთის წინააღმდეგ და შეერ-
 თებული ძალით მარცხებენ მას. აქ შეიქმნა გამომი-
 ნეს რუსეთს და ავსტრიაში, კონცერტის წევრებსა, თუ
 როგორ ესმოდათ მათ „ერთი თავისუფლება“. — უნგრეთი
 ბოლოს და ბოლოს შინაგანად მაინც დამოუკიდებლად
 რჩება, ავსტრიასთან სწორი უფლებით მისილი.

იტალიაში ისევ ბრძოლაა; შილანი მარცხებს ავ-
 სტრიაელებს, მაგრამ ავსტრიაელი დენკრალი რადიკალი
 ისევ იტყენ შილანს. სუვაჯი იფეთქებს სამაგიეროდ
 რეპლიკატორი, — ფლორენციაში. 1849 წელს თვით
 რომში აცხადებენ რესპუბლიკას, მაგრამ ფრანგები ეხ-
 მარებიან მას და იტყენ რომსა.

მთელი ევროპა ამგვარად ბრძოლის ტეცსლშია გა-
 სკეული.

1848—1849 წწ. საფრანგეთი იბრძვის რესპუ-
 ბლიკისათვის და სოციალიზმისათვის, გერმანია ერთ-
 ვნულ გაერთიანებისათვის და დემოკრატიისათვის, იტა-
 ლია, უნგრეთი, პოლონეთი და სხვანი ეროვნულ და-
 მოუკიდებლობისათვის და ერთობისათვის. განსაკუთრე-
 ბით ეს ეროვნული ბრძოლა ასულდგმულებს ევროპის
 ხალხებს. ევროპის კონცერტიც უღონოა ამ საერთო
 მოძრაობის წინაშე. თუ წინაღ ამ კონცერტის სულის
 ჩამდგმელი რეპლიკანტები განთავისუფლებულ ამერიკის
 რესპუბლიკების კვლავ დამონებს სტალიზმდენს,
 ესპანიის მონარქიის ფერხთა ქვეშე მათ ხელახლა გა-
 თლევას, ესა თვით ევროპაშიც ვეღარ იმორჩილებენ
 აფანეებულ ხალხებს. გაბათილდა მათი პრინციპი—რო-
 გორც ესა აზიანს სხედმწიფონი და მათი ტერიტო-
 რიები, ისე უნდა დაჩქარო უკუნიითი უკუნიმდე, — ეს
 არის ჩვენი მიზანი! ნაცვლად ამისა—ევროპის პო-
 ლიტიკური რუქა მთლად ერთიანად იცვლებოდა!

მაგრამ ერთი რამ ნაკლი ემჩნეოდა ევკლა ერთს,
 რომელიც ეტროფდა თავისუფლებას და დამოუკიდებ-
 ლობას: მსოფლივ თავისთავის სწადათ თავისუფლება,
 მათთვის კი, ვინც ამ განთავისუფლებულ ერთს საზღვ-
 რებში რჩებოდნენ, — სხვა ერთათვის ეს თავისუფლება
 არა სწამდათ. პოლონეთი რუსიანებს მონებსავით უუურბდა
 და ესლაც უუურბეს, გერმანიელი დანელის და პოლონე-

ლის უფლებას მატვის არა სტემდა, უნგრელი სლავ-
 ვიანებს ვერ ეპურებოდა სიმპატორად. ეს იმის ამტკი-
 ცებს, რომ თუქცა ეროვნულმა იდეამ გაიღვიძა, თუქცა
 ერის უფლება აღიარებული იყო, მაგრამ სავსებით ჯერ.
 კიდევ არა, ჯერ კიდევ ვერ მიეღწიათ ერთა ნამდვილ
 სწორუფლებიანობის იდეამდის. თვით ინტერნაციონა-
 ლის დაარსების დროსაც კი ვერ აღიარეს სავსებით ეს
 ნამდვილი უფლება ერისა და ვერც შეიძინეს ეროვნუ-
 ლი იდეა სინამდვილითა და სისწორითა.

1850—60 წლები ისე გავიდნენ, რომ ეს დაწ-
 ებული დიდი ბრძოლა არ დამთავრებულა. რეაქციის
 სუსხი ძლიერი იყო. არც გერმანია და არც იტალია
 არ იყო ჯერ გაერთიანებული. საფრანგეთში ნამდვილ
 შესამებ რესპუბლიკა დათრუნა და იმპერია გამაგრდა
 1853 წელს. 1854—55 წწ. ინგლისი და საფრანგეთი
 რუსეთს ებრძვიან და 1856 წელს კი ინგლისი ჩინეთს
 ემუქება, რომ თავისი ეკონომიურა ბატონობა განამტკი-
 ცოს უცხე ერის ნიადაგზედ.

1859 წელს ისევ იწევება ბრძოლა თავისუფლები-
 სათვის, — ბრძოლა მონა ნეკროს განთავისუფლებლად.
 1860 წლიდან ევროპაშიაც ახალის ძალით იფეთქებს
 ბრძოლა ერთა თავისუფლებისათვის.

საფრანგეთის ცდა მონების განთავისუფლებისათვის
 მონდა 1792 წელს, დანელებისა—1803 წელს. შემ-
 დგ ინგლისმა განთავისუფლდა 1808 წელს. მთავრო-
 ბამ აღერძლა ამერიკის პლანტაციებისათვის ნეკრების
 გაუიღვა. 1830 წელს განთავისუფლეს ევკლა სახელმ-
 წიფო მონები. 1833 წელს გამოსცეს საფოკულთაო
 აქტი მონათა განთავისუფლებისა. ამ მავალით სხვა
 ევროპელმა სახელმწიფოებმაც მიჰბაძეს. ამერიკის სამ-
 სრეთ შტატებში კი რჩებოდა ისევ მონობა ნეკრე-
 ბისა.

1848 წელს აფრიკაში განთავისუფლებულ ნეკრ-
 თა რესპუბლიკა ლიბერიც კი დაარსდა, რომელიც და-
 მოუკიდებლად აღიარეს ევკლა სახელმწიფოებმა ამერი-
 კის გარდა, ისეთა ზიზლი ჰქონდა ამ უკანასკნელს
 მონებისადმი, და აბა იქ საკუთარ მონებს როგორ გან-
 თავისუფლებდნენ.

მაგრამ მთელი ქვეყანა აფანედა ნეკროს მონობის
 წინააღმდეგ. აღელვდა ევროპელთა აზრი, ჩრდილო
 შტატების აზრიც, — იქ გადასახლებულ ევროპელთა,
 რომელთაც თავისუფალი მუშაობა უნდოდათ, და არა
 მონური შრომა და მასთან კანკურენცია. 1859 წელს
 თავისუფალი ამერიკელი ჯონ ბრაუნი თავისა შვილები-
 თა და მეგობრებთა აფანედა, მაგრამ ნეკრებსა მას დი-
 დი დახმარება ვერ გაუწიეს, იგი დამარცხდა და ჩამოხ-
 ჩობილ იქმნა გამარჯვებულთაგან.

1861 წელს უკვე მომწიფებული იყო საზოგადო-
 კობრივი აზრი ამისათვის, მტრობამ ჩრდილო და სამ-

სრულ შტატთა შორის იმაცა, და მათ ზიარდებინ რამი გამოუცხადეს ერთმანეთს. ჯერ სამხრეთელები სჯობნიდნენ, მაგრამ ბრძოლაში ოთხ წელიწადს გასტანა, 1865 წლამდის, და ჩრდილოეთელები გამოვიდნენ გამარჯვებულნი ამ ბრძოლიდან: ნეგრები განათავისუფლეს. თვით შეერთებული შტატები გაერთიანდნენ ამ ბრძოლის შემდეგ. მთელი ამერიკაც დამოუკიდებელი შეიქმნა ევროპისაგან. პრეზიდენტ მონროეს 1823 წლის განცხადება, — ამერიკადან ამერიკა დამოუკიდებელია ევროპისაგანა, — გამართლდა.

ამავე დროს იტალია განაგრძობს ბრძოლას. კარიბელადი ზირველი ერთგული გმირია. 1860 წელს იგი იმერობს ორივე სიცილიას.

1863 წელს კვლავ სდგება ზოლონეთი, ამარცხებს რუსეთს და ატყვევებს დროებით მთავრობას, მაგრამ მალე თვითონ მარცხდება.

გერმანია და იტალია თითქმის ერთსა და იმავე მდგომარეობაში იყვნენ გაერთიანების სურვილის მხრით. ამისათვის მათ მოაწვეეს კავშირი, რომ ორი სახელმწიფო, რომელიც მათ ხელს უშლიდა, დაემარცხებინათ. ეს ორი სახელმწიფო იყო ავსტრია და საფრანგეთი. ავსტრიას მათ ომი გამოუცხადეს 1860 წელს. პრუსიამ ავსტრიას საშინაოდ დაამარცხა. ამის შემდეგ თავის თავად ხდება გაერთიანება გერმანიისა. შემდეგ პრუსიას ამარცხებს საფრანგეთს 1870 წელს, ამით სარგებლობს იტალია და შედის სატასტო ქალაქ რამში, საიდანაც მალე გადის საფრანგეთის ჯარი. ამის შემდეგ იტალიის გაერთიანებაც ბუნებრივად მოხდა და დაანდა ევროპაში ორი დიდი სახელმწიფო, — თავამდროვე გერმანიის იმპერია და იტალიის სამეფო, რომელიც შემდეგ დიდ სახელმწიფოთა რიცხვებში შევიდა. — სრული გაერთიანება მაინც არ რკებიათ წილად იტალიელებსა და გერმანელებს: უკანასკნელებს ავლიათ ავსტრიალი გერმანელები, ზირველებსაც ავსტრიის იტალიელები. დროთა ვითარებაში ალბად ესენიც თავიანთ ბუნებრივ სახელმწიფოებს დაუბრუნდებიან.

ამისთან ერთად ვითარდება ევროპაში მისწრაფება შინაგან საზოგადოებრივ კარდაქმნისადმი. 1864 წელს ანსდება ინტერნაციონალი, ანუ საერთაშორისო კავშირი მუშათა, რომ სოციალიზმის წესსუდ კარდაქმნან მთელი წარმოება და განაწილება: სიმდიდრის ეგვლა ერებში. რადესაც ზარზის ალყა შემთარტყეს პრუსიელებს, ზარზიელები თვითონ იტყვევენ სატასტო ქალაქსა და სემზოლას, დამარცხებული მთავრობა კი გაიქცა. 1871. 18 მარტს ცხადდება ზარზის გამომუნა, მაგრამ ფრანგები იბრძვიან მის წინააღმდეგ. ტიერის მთავრობა ამარცხებს გამომუნას. ისინიაში 1873 წელს ფედერალისტური მოძრაობაა. რესპუბლიკას ატყვევებენ, მაგრამ მარცხდებიან. საფრანგეთში კი, მიუხედავად გამომუნის


სამხელი დამარცხებისა და ზარზიში 30,000 ადამიანის გაყვლეტის, ცხადდება მესამე რესპუბლიკა 1875 წელს.

როგორც ინტერნაციონალი, ისე მთელი მოძრაობა, რომელიც შეკავშირებულია მასთან, ზრინციზიალურათ მაინც ორი სახისაა: თუ ერთის მხრით ხალხები იბრძვიან შინაგან თავისუფლების მოსაზრებულად, მეორეს მხრით ერთა უფლება, როგორც სწორ-უფლებიან ინდივიდთა, თუმცა აღიარებული არ არის, — მაგრამ მაინც უურადდებას აქცევენ დასაგრულ ერებს, როგორც მაკალითად იტალიელებს, ზოლონელებსა და სხვათა. ბაკუნინის მოქმედება გამომხატველია ამ ორკოფი მდგომარეობისა. ზირველი მიზანი ინტერნაციონალისა მაინც სოციალიზმია და არა ერთგება.

დასასრულ, არც ბაკუნეთის სლავიანებსა და რუმინებს ეძინათ. ისინი მუდამ ებრძოდნენ ოსმელებს. 1875 წელს სერბები აჯანყდნენ ჰერცეგოვინაში. 1876 წელს ნამდვილი ომი სერბებსა და ოსმელებს შორის. რუსეთი ომს უცხადებს ოსმელებს 1877 წელს. ამით სარგებლობენ სერბები, ბოლგარები, რუმინები. რუსეთი ამარცხებს ოსმელებს და 1878 წ. სან-სტეფანოში ზავი ჩამოყარდება. იმავე წელს შეიკრიბება ბერლინის კონგრესი, რომელიც ძლიერ ასხვავებებს ზავის ზირობას, მაგრამ მაინც ანთავისუფლებს სერბიას, ბოლგარიას, რუმინიას, აგრეთვე სომხებს აძლევს გარანტიას ოსმელებისაგან უფლეტის წინააღმდეგ, თუმცა ეს დამიერება ანსოლდეს არ ეოფილას ოსმალთაგან აღიარებული.

Baton.

(შემდეგი იქნება)



მ ი ნ ი ა ტ ი უ რ ე ბ ი.

II.

გარეული ბატი.

ძღვნად და საჩუქრად სახელ-განთქმულ სოფლის მეზატონეს ღარიბ აზნაურისაგან მოუვიდა გარეული ბატი.

ბავშვები გახარებულნი იყვნენ ახალის სანახაობით. მსახურნი სწეწდნენ ლამაზ ფრთებს ამაყ ფრინველს.

დიდხანს ეშინოდათ, გარეულია და არ გაგვიფრინდესო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს შეამჩნიეს, რომ ამპარტაიანი ტყის მცხოვრები, როცა ქათმებს გადუყურიდენ საკენკს, შემობრუნდებობა და თუმცა წყნარად, მედილურად, მაინც აიღებდა ორ-სამს სიმინდის მარცვალს.

ბატონმა ბრძანება გასცა ფრთებს ნულარ

სწევთ, მე თვითონ მქირდებო. მსახურნი ჩუმი-
ჩუმად თავისას არ იშლიდენ, მაგრამ სიჩქარეში და
შიშში ველარ ასწრებდენ სრულიად გაეპტყენათ
დაჯაბნებული ბატი.

ბატს ფრთები ეზრდებოდა, უძლიერდებოდა.
თუკი სადმე იხელთებდენ ღამის წყვილიადში, გამო-
გლეჯდენ ფრთას, მაგრამ ფრთები მაინც უმაგრდე-
ბოდა. ბატიც სინჯავდა თავის ძალას და გულწა-
კლული ფიქრობდა: გავფრინდე, არა, იმდენი ძა-
ლა არა მაქვს, სუსტად ვარ ეს ტიალი, ან ქორს
დამადევნებენ, ან ტყვიას... ერთ ორ თვეს რომ
შემაცდიდენ, ხელს არ მახლებდენ,—ფრთები დამე-
ზრდებოდა, მაშინ არაფერი გამიქირდებოდა.

ბატი ეხლა ხერხიანად ემაღლებოდა, ვინც კი
მიუახლოვდებოდა გასაპტყენელად, მაგრამ ეზოს მა-
ინც არ შორდებოდა.

ეზოში ისმოდა ძაღლების ყევა, ბაზიერთა
წრუპუნნი, ბუკის ხმა... ბატს ეშინოდა, რიდი
ჰქონდა.

ერთ დღეს არა ჩვეულებრივი ალიაქოთი
ატყდა: მებატონე სანადიროდ წაბრძანდა. ცხენე-
ბის ფრუტუნის, ძაღლების ყევის, მათრახების ტა-
ცა-ტყუცის შემდეგ დაურღვეველი სიჩუმე ჩამო-
ვარდა, სანამ შორიდან არ მოისმა საყვირის ხმა,
თოფის ბათქა-ბუთქი, ყევა და ყიყინი.

„შორს არიან, გაიფიქრა ბატმა“, და ფრთა
ფრთას შემოკრა. გადაჩვეულს გაუძნელდა ფრენა,
მაგრამ ხორცის დაუძლურება თავისუფლების სუ-
რვილმა სძლია. გულის ფანტქალით, ფრთა-დამ-
ტვრეული ბატი ჩავარდა სადღაც ძიგვეში, მაგრამ
თავისუფალი და მოხარული. მალე ტოლი ჰპოვა;
ბუდე თავისი, მხოლოდ მისი, მისგან აშენებული,
რბილი, თბილი, მის გემოზე გამოჰრილი ბუდე
მონახა; სურვილისაშებერ შეაკეთა დაძველებული
საყვარელი ბუდე, და თუ საბატეში ვინმე არის,
ისიც არის და სცხოვრობს.

როცა მონები და ყმები სახელ-განთქმულის
სოფლის მებატონისა შეიყრებიან, სულ ბატის სი-
სულელეზე ლაპარაკობენ! მხოლოდ რამდენიმეს
მოავგონდება თავისი მდგომარეობა, შეადარებს ბა-
ტის საქციელს და გულში კითხულობს:

ნუთუ ბატიც უფრო ჰქვიანი იქნება ჩვენზე?

6. ლ.

გაროზგილი

(ნაწილი II).

მ ა რ ა ნ შ ი.

(ნაწილი I დაუსრულებელ მოთხრობისა „გაროზგილი“)

—ეგ-კი არა და... წელს ძალიან გადავირჩათ,
ნათლი, ნაბატონარის ვენახი სეტყვისაგან... სწო-
რედ გეზად აუარა. მიმართა ცოტა ხნის შემდეგ
ერთმა ნავში მყოფთაგანმა ონოფრეს.

— აბა, ეგ-ლა მაკლდა, რომ სეტყვასაც დაეკ-
რა...—უბასუხა ონოფრემ.—არა, რაღაც ნაესი
ადგილია ის ადგილი... ყოველ წელიწადს რამე
ფათერაკი უნდა დაემართოს... შარშან იყო და
მთელ ქვეყანაზედ ნაცარი წამლადაც არ მოიპო-
ვებოდა და სწორედ იმას გაუჩნდა... წელს კინაღამ
სეტყვამ ჩარეგვა... არა, გული მეუბნება, ავიღო
და თავზედ მივაგდო ჩემს ნაბატონარს... დე თი-
თონ გააკეთოს...

— აბა, იმის მარჯვენას სწორედ მაგის უნარი
არა სცხია?!—დაიძახა სიცილით მეორემ.—არ
დაიჯეროთ, ხალხნო, არა მგონია, მთელ ღუნია-
ზედ მაგისთანა უქნარი და წუწკი კიდევ იყოს
ვინმე!... დაეხილება ისე უზო-უჯვლოდ სულელ
კიკასავით... რაც რამ გააჩნდა, სულ მიყიდ-
მოყიდა და ახლა გღია თქვენ ხელში შემყურავი...
იმ დღე ადრიან დილით ზაქარას დუქნისაკენ ჩამო-
ვიარე და იქვე ქვაზედ ვნახე ვადაშხლართული...
თავისავე ნაღებინარში გორავობდა... თურმე ზაქა-
რას დუქანში დამთვრალიყო... გარედ-კი გამოსუ-
ლიყო, მაგრამ ჰაერზე თავბრუ დაჰხვეოდა და წაქ-
ცეულიყო... იაკა რუსიც არ იკადრებს მაგისთანა
საქმეს...

— ეგრე იცის ხოლმე და ოტკამ... მაშინვე
მუხლსა სჭრის... დაილოცოს ვაზის წვენი... სვი
რამდენიც გინდა, მე ვიცი, თავს დაგიმძიმებს და
ფეხს ავირევს?!... აბა! შენც არ მომიკვდე...
ღვინო ქვეყნის სიხარულია...—ამ სიტყვების და-
სამტკიცებლად მთქმელმა ტუჩებზედ საღვინო მოი-
კიდა. იმის მადიან მნას მისივე ყანყარატო საამურ
ბანს ეუბნებოდა და თანაც ყიყვი მოძრაობაში
იყო—ხან ზევით ამოჯდებოდა, ხანაც კვლავ თავის
ადგილას ჩავარდებოდა ხოლმე.

— როგორი ღვინო დაგიღვათ, ხოსრო?
—ჰკითხა ონოფრემ მსმელს, როცა მან საღვინე



მოიხსნა და ხელის გულით გემრიელათ ტუჩები გადიწმინდა.

— ისეთია ნათლი, ისეთია რომა, უკაცრაო პასუხია, ვარდის სუნი უღის. — უპასუხა მან მოხუცს ალტაცებით.

— შენ, ეი, იმ დღეს რო ამბობდი—მიუბრუნდა ფილო მსმელს— თითქო მოავონდა რამეო,—ვისაც წმინდი გიორგის ჯვარი ჰქილია, ხელს ვერაფერ ახლებს, რაც უნდა დააშავოსო.

— ჰო, და ასე გამიგია ტურიკანთ მიტრასაგან...

— ვერ მოგართვი აღილო დღეს ხბოს თავი... ამას წინად ისე მიგიბღვრტყეს ის ჩვენი ნაბატონარი ტრაქნიკებმა, რომ ვერ გარჩევდით, სად თავი ჰქონდა და სად ფეხები...

— მართლა!—დაიძახა ერთმა მენავეთაგანმა სტრაქნიკების გახსენებაზედ—თქვენ ილას ამ თვეში სალდასტობის ყავლი უნდა გაუთავდეს... როდისთვის ელით?..

ამ გულუბრყვილოდ წარმოთქმულმა სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, უსიამოვნობის ღრუბელი მოჰფინა მამაშვილთა გუნებას. სამივეს მსწრაფლ თვალწინ წარმოუდგა მიწაზედ გალართხული ილა, რუსულ როზგ ქვეშ გატარებული, ნამუს ახილი და ამ გარემოებამ მათ სულიერ მოძრაობას ბოღმის საბურავი გადააფარა. არც ერთ მათგანს ხმა არ ამოუღია. ონოფრე ღართან ჩაკუნტულიყო და ერთ ადგილას, საცა ყურძნის წვენი ჟონავდა, შერეულ ტალახსა სცხებდა. ამ სიტყვების გაგონებაზედ მოხუცმა უფრო ძირს დახარა თავი, თითქოს უხილაემა ხელმა კისერში ჩაჰკრაო. ნავთან მდგარი საბაც აირია და უაზროდ, პირზედ მწარე ღიმილ მომდგარმა, ყურძნის ხელით აქეთ-იქით გაფანტვა დაუწყო. ფილოს-კი ამ დროს ფეხების ბანვა გაეთავებინა და ნავში ჩახტომას აპირებდა. სიტყვები ილიკოს შესახებ ტყვიასავით მოხვდა... ერთ ხანს ისიც გაუყურდა უცბად ჩამოვარდნილ სიჩუმეს, მაგრამ გონს მოვიდა, აბრუ არ გაიტეხა, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო, და ნავში გადახტომით რიხიანად დაიძახა;

— აბა, თქვენი ჰირიმი, ბიჭებო!... ფეხი მაგრა დაჰკათ, რომ ყურძნის სულ კუპა-წყუბი გაჰქონდესო.— თანაც „პარალალო“ შემოსძახა. ბიჭებმა ბანი აადვენეს. ცოტა ხნის შემდეგ უხერხული მდგომარეობა იქ მყოფთა სრულიად გაიფანტა და მარანი სიმღერის გუგუნმა მოიცვა.

მზეს სხივები აეკრიბნა და დასავლეთისაკენ საკმაოდ გადახრილიყო, როცა ვენახიდან ეზოში შემოვიდნენ და მარანს მიუახლოვდნენ მართა, პე-

ლო და თებრო. მათ თან მოჰყვა ექვსიოდე გოგო, რომელთაც ხელში ყურძნით სავსე კალათები და აკიდოები ექირათ. გოგოებმა კალათები მიწაზედ დასდგეს, მართას და პელოს გამოემშვიდობნენ შორიდან ხელის გაწვდენით და გვერდზედ თავის დაკვრით და ალაყაფის კარებისაკენ გასწიეს.

— ერთი შეხედე, საბავ, ზამუკანთ საბედას, როგორ მიათამთამებს ი კურტუმს!...— უთხრა თვალის ჩაკვრით საბას ერთმა ნავში მყოფმა ბიჭთაგანმა, თანაც ღრეკით მხარზედ ხელი დაჰკრა— სანადღეო მოვიდეს, რომ სულ შენი გულითვინ არხვეს ი გოგო ლერწამივით საძალღე ტანსა!... ოპოპო! ეგ-კი არ არი შიგ შუა ღობეში საკოცნელი!..

ბიჭებმა სიცილი ასტეხეს.

— არა, შენ ფექრიანთ კეკეს უყურე და!..— დაიძახა მეორემ— თებროს ელაპარაკება და თვალბებს-კი მელასავით აქეთ აცეცებს... ვაჰი, მაგის ქმრის ბრალი!.. სულ სანთელივით მოჰღვენთავს!..

ამასთანავე საპატარძლოთ მოწიფულ გოგოების დანახვაზედ და თანაც ღვინისაგან საღერღელ აშლილმა ბიჭებმა ვერ მოითმინეს, უწმაწური რამ არ გაეყოლებინით ქალებსათვის გზაში. სწორედ ამიტომაც ერთმა მათგანმა დაიწყო:

„პატარა გიო ნატრობდა...“

— აი, გაგიწყრეთ ჩემი სალოცავები, თუ ეგ წანკლიანი ენა დააყენოთ!— უთხრა მარანში შემოსულმა მართამ მომღერალ ბიჭებს— აბა, თუ გაჩუმდნენ ე მამაობრიშვილები?!..—

მართას კილოზედ ეტყობოდა, რომ არც თუ ძალიან ჯავრობდა და თუ ასეთის ტუქსვით მიმართა ბიჭებს, მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო არ წაქეზებულიყვნენ და სრულიად არ გადაეშალათ თვალმარგალიტი სოფელურ უწმაწურ ლექსიკონისა. მაინც ბიჭები იმ დრომდე არ გაჩუმდნენ, ვიდრე გოგოები თვალს არ მიეფარნენ.

პელომ და თებრომ კალათები სახლის აივანზედ აზიდეს. საბა საქონელის მოსარეკად წავიდა. მართა და ონოფრე მარანში ფუსფუსებდნენ და მწურავებს ეხმარებოდნენ.

ბინდ ბუნდი მოტანებული იყო, რომ ყურძნის წურვა გათავდა. მუშები ნავიდან გადმოვიდნენ, ფეხები დაიბანეს და დაგვიანებულ სამხარს შეუდგნენ. მარანში კრაქები აანთეს, ცეცხლი გააჩაღეს და თხის მწვადები ააშიშინეს.

სამხარმა დიდხანს როდი გასტანა. ყველანი დაღლილები იყვნენ. ამას გარდა, ღვინის სმის სურვილიც არავისა ჰქონდა, რადგანაც მთელი დღე თითქმის პირიდან ხელადა მოუხსნელი მუშაობ-

დნენ. ქართველი-კი მხოლოდ მაშინ აგრძელებს ნადიმს, როცა ღვინო სწყურიათ. ესეც რომ არა ყოფილიყო, მასპინძლებსაც არ ეცალათ: ქვევრები უნდა გაეცხოთ ქაქით და იქაურობა მიელაგ-მოელაგებინათ.

მუშები წავიდნენ. მართა, ფილო და ონოფრე, მარანი რომ მილაგეს და ღვინო დააბინავეს, ეზოში გამოვიდნენ. ამ დროს კიბესთან ზანტად მთვლემარე ძაღლი, რომელსაც უღელ გამობული თავი წინა ფეხებზედ დაედო, ღრენით ალაყაფის კარებისაკენ გაქანდა.

— ვილაცა—სთქვა—ონოფრემ. ფილო! მიუბრუნდა იგი შეიღს—გაიხედე, ნახე ვინ არის...

ფილო მივიღა ალაყაფის კარებთან და, ის იყო პატარა კარის გაღებას აპირებდა. რომ ამ დროს კარი თვით გაიღო და მის ღირვზედ კაცი გამოჩნდა.


— ილაგ, შენაა!—მოისმა მთრთოლვარე ხმა ფილოსი.

— შეილო ილიკო!!.. — შეჰბლავლა მართამ და ბარბაცით კარებისაკენ გაქანდა.

ონოფრე ადგილიდან ვერ დაძრულიყო.

მართას კვიციანზედ პელო და თებრო აივანზედ გამოვიდნენ. პელოს ხელში ქრაქი ეჭირა, რომელიც მალა აეწია, რომ სინათლეში გაერჩია, რა ხდებოდა ეზოში. ორივემ კარებისაკენ მიაქციეს სახე და დაინახეს, რომ კარებში ვილაც კაცი იდგა, რომელიც თითქოს ვერა ჰხედავდა ეზოში შემოსვლას.

ი. ელფთერძე.



მ ე ლ ო ღ ი ა.

სიმებს ჩამოეკარ ხელი მთრთოლვარე ნადვლიან ჰანგიდა ავახშაურე;
ირველივე მოვდევი ხმა მგლოვიარე:
და ცრემლთ-ნაკადი მდელის ვაპკურე

ბულბულის სტვენა მცემის ჩხავილად,
ყვავილს შევეყურებ ნარ-ეკლიანსა
და მზის სხივები ისარ-მახვილად
გულსა ჰხედებიან მწარ-ნადვლიანსა.

დამიქნა გული... მომიკვდა რწმენა...
მიყურდა გრძნობა... განქრა ღმდილი, — ე.
არ მსურს სიცოცხლე შხამ-გესლიანი...
მწყურის სიკვდილი, მხოლოდ სიკვდილი!..

ი. გრიშაშვილი.



ძინაური მიძინილვა.

ამ თვის გასულს თფილისში დაიწყებს მოქმედებას ქალთა უმაღლესი კურსები. საზოგადოდ ქალების მდგომარეობა ამ ბოლო დროს ძირიანად შეიცვალა. ქალი თანდათან თავისუფლდება ოჯახურ კარჩაკეტილობისაგან, ის გამოდის საზოგადო ასპარეზზე და მამაკაცთან ერთად არსებობისათვის ბრძოლაში მონაწილე ხდება. ეს მოვლენა არაა გამოწვეული რაიმე ზეერელის, ან ინდივიდუალური მისწრაფებით. მას ღრმა საზოგადოებრივი საფუძველი აქვს და რამდენადაც თანამედროვე საზოგადოებრივი განვითარება გაღრმავდება, იმდენად ეს მოვლენაც გააღრმავდება. ცხადია საზოგადოებრივ ბრძოლაში ჩაბმას შესაფერი მომზადებაც უნდა. და აი ქალებიც საოცარი სიმხნევით ეწაფებიან ცოდნას. ჩვენ და სამწუხაროდ, ქალთა სასწავლებლები ისე მოწყვეტილი არიან სამშობლო ნიადაგს, რომ ძალიან ხშირად გიმნაზიაში კურს დამთავრებულ ქართველ ქალს უბრალო მოკითხვის წერილიც არ შეუძლია დასწეროს თავის სამშობლო ენაზე. საზოგადოდ ის სრულიად მოწყვეტილია სამშობლო ნიადაგს და მის სუსტს გულში სამშობლო სადმი სიპატიას ტყუილად დაუწყებთ ძებნას. ძნელი გასათვალისწინებელია ის სამწუხარო შედეგი, რომელიც ასეთ სისტემას თან მოსდევს. ხშირად უკვე ცხოვრებაში გამოსული გრძნობს თავის ნაკლს და სრულს მუშადადებლობას საზოგადო საქმეში. მაგრამ თვითეულ ადამიანისთვის ნაკლის გასწორება მეტად სამძიმოა. პირიქით ცოდნის წყურვილით გატაცებულთა ჯგუფები, საერთო მიზნით გამსკვალულნი გაცილებით უფრო ადვილად სძლევენ ცხოვრების მიერ შექმნილ დაბრკოლებას. ამიტომაც ჩვენ დიდი სიხარულით ვეგუებებით ქალთა კურსების დაარსებას და იმედიც გვაქვს, რომ ჩვენი ქალები სწავლასაც შეიძენენ და მასთან ერთად ეცდებიან ეს სწავლა თავის დაბეჩავებულ სამშობლოს საშველად მომართონ და გამოიყენონ.

* *

ამ ბოლო დროს წ.-კითხვის საზოგადოებამ შესძლო თავისი მოქმედების გაფართოება. არსდება ადგილობრივი განყოფილებანი, რომელნიც შესძლებენ აამუშაონ ადგილობრივი ძალები და ამ ნაირად სახალხო განათლების საქმე წინ წასწიონ. ერთს ძირითადს ჩვენ სიძაბუნეს შეადგენს განუვითარებლობა, ეს საერთო სენია. ვისაც სკოლა არ გაუვლია, ის ხომ ისე ვერანათ რჩება, ვისაც უსწავლია, ისიც სკოლის კედლებს რომ შორდება, შემ-

დევ ჩვეულებრივ თავს ანებებს განვითარების საქმეს და იმ გონებრივ საგაძლსაც თანდათან ფანტასს, რომელიც სასწავლებლიდან გამოუტანია. გონებრივი მუშაობა კი ისეთი თვისებისაა, რომ ერთხელ თუ შეაჩერეთ, მერე მისი განგრძობა მეტად ძნელია. ხოლო რომ ეს მუშაობა შეუჩერებელი იყოს, ამისთვის საჭიროა მუდმივი იყოს თვით გონებრივი წყაროც, საჭიროა მუდმივი აზრთა გაცვლა-გამოცვლა, აზრთა კიდილი, თავის აზრის სხვისთვის გაზიარება, სხვისი აზრის მოსმენა. ამ მხრეზე ჩვენ მეტად უნუგეშო მდგომარეობაში ვართ, განსაკუთრებით ჩვენი პროვინციები, სადაც გონებრივი ზრდის ყოველივე საშუალება დახშულია. ამიტომ ჩვენ დიდი სიამოვნებით და იმედით ვეგვებებით წ.-კით. საზოგადოების სამტრედიის განყოფილების განზრახვას, რომ სისტემატიურად მართოს საჯარო ლექციები. იმედია, ხალხიც ღირსეულად დააფასებს ასეთ საქმეს და გაამხნეებს საქმის ინიციატორებს. ხოლო ჩვენ ვუსურვებთ სხვა განყოფილებათაც სამტრედიის მიზანღი და ხალხში ცოდნის გავრცელებას მხნედ ემსახურონ.

* * *

„დროების“ ბორჯომელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ბორჯომის ხეობაში არსებულ სკოლებში ქართულს არსად არ ასწავლიანო. ფრიად სამწუხარო მოვლენაა, რომლის უყურადღებოდ დეტრეგება შეუძლებელია. მაგრამ საჭიროა კორესპონდენტმა უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს ასეთს მოვლენას და უფრო დაწვრილებით აგვიწეროს საქმის ვითარება, დაასახელოს თვით სკოლები, და ისიც აგვიხსნას, თუ რამ გამოიწვია ასეთი შეუწყნარებელი მოვლენა.

* * *

წელს ისეთი ცუდი ზაფხული იყო, რომ იმერეთის ბევრ სოფელს აუცილებელიც მიმშილი მოვლის. ქვეყნიერებაზე აღბად მხოლოდ ერთი სახელმწიფოა, სადაც მიმშილი ჩვეულებრივი მოვლენაა. ესაა ვეებერთელა რუსეთი, რომლის შიდა ნაწილი თათქმის ყოველ წლივ დამშეულია და ას მილიონობით მოითხოვს ყოველ წლივ, რომ თავი გაიტანოს. თუ სხვა ქვეყნებმა აღარ იციან, რა მთელი ოლქების მუდმივი დამშევა, აშკარაა, რუსეთს არ შესწევს ძალა ბუნებრივ მოვლენებს ებრძოლოს. კიდევ უარესი. რუსეთის საზოგადოებრივი წყობილება იმდენად მოუხეშავი და ბარბაროსულია, რომ თითქო ხელს უწყობს დამშევას. დამშევა მისი ერთი შედეგთაგანია. საქართველომ არ უნდა იცოდეს, რა მიმშილი, და განსაკუთრებით ამერეთმა. მაგრამ ჩვენც ვერ ავშორდით ამ შემხუთველ წყობალების შედეგებს, რომელიც ადამიანს ხელ-ფეხს უბოკავს და ყოველივე მანეე მოვლენასთან საბრძოლველად უღონოდ სტოვებს. მიმშილი კარზე მოგვადგა. ხოლო საშვალეება მის ასაცილებლად არსად არის. საჭიროა, აქიდანვე შეუდგეთ საქმეს და

გამოვარკვიოთ, თუ რამდენად ძლიერია მოსალოდნელი ვაჭირვება, ეგების რაიმე ღონე ვიღონოთ და რაოდენამდე მაინც ურთიერთი დახმარებით ვაჭირვება შევიმსუბუქოთ.



ჩ ა მ ს მ უ ზ ა ს .
(ლექსისებური)

— სს, სს, სს, სს, სს!

რადა გაცინეს, უბედურო შენ,—ჩემო მუზავ!
რისთვის სანსარებ თავ-განწირვით, განუწყვეტლად,
ნუ თუ ვერ ხედავ, შენ უკმესო, ჟანგთათვის კუსხავ,
რომ უგზუთ მუშა, თავსედაბამ, ქვეცამხვლადამ
ცოცხდივ დაგმანს... ადვიარ სანყარ მსეველათა?.

— ჭა, ჭა, ჭა, ჭა, ჭა!

მაინც იცინი? შენ-მთავე მდგომარს—
ქვესკნელიდან ან გაშინებს ჟუჟათ კნავილი
და უსუსურთა ადვიარ-ახსნილ უსირცხვილბა
ისე გაფიქებს, ვით უღრან ტუქს ტურათ სავილი?
მაშ... კვლავ იცინე! უცინე მქუხრად!
ძილი დაუფრთხე, მისვენებსან გამანსაღმე,
ვიცნა, ვერ სედავს მხის სხივესს დაბმავებუღი,
და კაცის სხისს,—აზრებით კი—ლტოკინებო
თვისსავე ნეტწეში აშანსხე, გააქვიშლამქ!
იცინე მკუთრად... შენ იდეალს ნუ უდალატებ:
ცნს მადლი უძღვენ, დახაგრელებს—ქენი სირცხლექ
და ბორტებანს გამოსთხარე ორივ თვალეში!..
დაე, გაგთახონ, ებათ აგადონ, გაგათახსირონ;—
ნესვის ჭიებსა განა მეტი მეთხრეებათ?
ფუნეში მცხფრებთ ვით შეასქენ, გააკებინებ,
რომ ვარდას ენსვას მხლელად კაცთა შეეფერებათ...
იხ ეკალბძე.

ს. ფასანაურა, 1909 წ.

თ ე ა ტ რ ი .

ხელოვნება, და განსაკუთრებით ის დარგი ხელოვნებისა, რომლის უმთავრესი იარაღი სიტყვაა, —ყოველთვის ნაკლით არის აღსავსე, უფერულია, თუ იგი ეროვნულ სფეროში არ აღზრდილია და არ განვითარებულა. როგორ შეიძლება მხატვრული მწერლობის სასურველი გინვითარება საქართველოში, როდესაც ქართული ენა დევნილია, ქართულ ენაზე არ ვითარდება ბავშვის სული და გული, როდესაც ქართველს ის შეგნებაც კი დაებადა, რომ უქართულოდ ცოკრებაც შეიძლება, განვითარებაც

და უმაღლესი განათლების მიღებაცა. როგორ შეიძლება განვითარება მწერლობისა ასეთ პირობებში? პირდაპირ კულტი უნდა იყოს ენისა, და სამშობლო ენას არა თუ ქველმოქმედებითა და სირცხვილით უნდა სწავლობდენ, არამედ ამ კულტის ქურუმები უნდა აღზარდოს ეროვნულმა ცხოვრებამ, რომ მართლაც განვითარდეს ნამდვილი მხატვრული მწერლობა. და აქი არც ვითარდება დღეს ეს საუნჯე და ვერც მოვიპოვებთ, სანამ ქართული ენა ჩვენთვის ის ერთადერთი იარაღი არ იქნება, რომლითაც უნდა გამოვხატოთ ჩვენი ფიქრნი და გრძობანი. სანამ ქართულის მაგივრად სხვა ენა გვექნება ამ იარაღად, არ მოგვესმის სიტყვა ქართული რუსთაველისა!

სასცენო ხელოვნება კიდევ უფრო სასტიკად განიცდის ამ გარემოების სუსხსა. დავანებოთ თავი ყველა სხვა ხელის შემწველ პირობებს: არტისტთა გაუნათლებლობას, სპეციალურ არტისტიულ სწავლის უქონლობას, სიღარიბეს, საზოგადოების გულგრილობასა და სხვას. თუნდა ძლიერ ნასწავლებიც იყვნენ ჩვენი არტისტები, — როგორ უნდა მოსთხოვოთ მათ ისეთი ხელოვნური თამაში, როგორითაც მსმენელთ ატკობენ იტალიელები, ფრანგები ან რუსები! თუ გინდ ძლიერ ნიჭიერებაც იყვნენ ჩვენი არტისტები, — როგორ უნდა გამოიჩინონ საკუთებით თავიანთი ნიჭი, როცა მათი გრძობანი, მთელი მათი ხელოვნება უცხო ენით იხატებოდა მუდამ და, უბედურებაც ის არის, — რაც უფრო ვითარდებოდა მათი ფსიხიკა, მით უფრო ექსოვებოდა ამ ფსიხიკას უცხო ენა, რომელიც ბოლოს ერთად ერთ იარაღად ხდებოდა მათი აზრისა და გრძობის გამოსახატავად. ქართული კი ისე, სხვათა შორის, ქველ-მოქმედებით ან ვალდებულებით იხმარება!

ბ-ნმა შალვა დადიანმა სწორი სინამდვილე აღნიშნა, როდესაც ამბობდა („დროებაში“), რომ ყოველ ქართველ არტისტს თავისი საკუთარი ქართულური დიქცია აქვსო, ვინ იცის ვისგან, როდის ან როგორ ნასწავლები, ან საკუთრად გამოგონილი, — და არ არსებობს ჩვენ სცენაზე ნამდვილი, საერთო ქართული დიქცია, ქართული ენაო! მართლაც, სხვისი არ ვიცი, და მე რომ თეატრში ვარ ხოლმე, ხან და ხან მგონია, რომ არტისტები ათ სხვა და სხვა ენაზე ლაპარაკობენ: ზოგს ნეაპოლის ყარგონის გამოთქმა აქვს, ზოგს პეტერბურგული რუსული, ზოგს კი ქართული, მაგრამ ან იმერულ-შორაპნული, ან თბილისური-სომხური! ამითი აიხსნება ისიც, რომ ჩვენი არტისტები შედარებით კარგად თამაშობენ ადგილობრივ ცხოვრებიდან აღებულ პიესებში, ხოლო როცა

ნამდვილი ხელოვნური რამ უნდა ითამაშონ, სადაც არც კინტოურია და არც შორაპნული, — ბაბილონის ენათა აღრევად მოგეჩვენებათ მათი ქართული ენა!

საკვირველია, რომ ჩვენი ახალგაზრდა მსახიობნი პეტერბურგში და პარიზში მიდიან დრამატიულ კურსებზედ. რასაკვირველია კარგია უმაღლეს ხელოვნების ტაძარში შესვლა, მაგრამ ორი რამაც აუცილებელი ქეშმარიტებაა: მსახიობი ან ისწავლის რამეს, ან არ ისწავლის; თუ არას ისწავლის, მაშინ რასაკვირველია ყოველად უსარგებლოა მისი წასვლაც და მოსვლაც, ხოლო თუ ისწავლის, უნდა ისწავლოს რუსულად, ან ფრანგულად, მთელმა მისმა ფსიხიკამ უნდა შეისისხლ-ხორცოს ფრანგული ან რუსული ენა, — უამისოდ სწავლა დიქციისა, გამოთქმისა, ტონთა შეცვლისა სხვა და სხვა გრძობათა თანახმად, — შეუძლებელია. და თუ ასეთნაირად განსწავლა მოახერხა უცხოეთში ჩვენმა მსახიობმა, — ერთ მშვენიერ დღეს, ჩამოსვლისთანავე, ორი კვირის მომზადების შემდეგ, მას ქართული თამაში უნდა მოვსთხოვოთ? ჩვენი მხრით უკანონო და უსამართლო მოთხოვნაა, მსახიობისათვის კი შეუძლებელია ჩვენი დაკმაყოფილება.

და განა ეს მსახიობის ნიჭისა, შრომისა და მეცადინეობის ბრალია? სრულიადაც არა. ჩვენ თვითონ ჩაეაყენეთ იგი ისეთ მდგომარეობაში, რომ შეუძლებელია სხვანაირი სურათი წარმოადგინოს სცენაზე. აბა ფრანგი, ფრანგულად აღზრდილი და რუსულის მცოდნე, რუსულად ათამაშეთ, თუ ნახევრად არ დაიკარგოს მისი ნიჭიც და ხელოვნებაც! აბა ათამაშეთ ბ. ა. სუმბათიშვილი ქართულ სცენაზედ, თუ იგი იმ სუმბათიშვილად მოგეჩვენოსთ, როგორიც არის რუსულ სცენაზე! როგორც გამოვიგია, სუმბათიშვილი ქართულს არ ლაპარაკოს, არცა სწავლობს, რადგან ეშინია რუსულ აქცენტის გაფუჭებისა: იმიტომ რომ იგი რუსული ენით აქტიურობს და ამ ენის სიმშვენიერესა და სიტყვათა გამოთქმას უმთავრეს ყურადღებას აქცევს.

ჩვენში კი რუსულად ნასწავლი სკოლაში, უნივერსიტეტში, დრამატიულ კურსებზედ, რუსულად მოლაპარაკე საზოგადოებაში, რომელსაც არავითარი სკოლა არ გაუვლია, არასოდეს არ უსწავლია ქართული გამოთქმა, ქართული სწორი ლიტერატურული ლაპარაკი და კილო, არც კი მოსვლია ფიქრად, რომ ეს აუცილებელი საჭიროა სასცენო ხელოვნებისათვის, — უცბად გამოდის სცენაზე და ქართულად მთელს პიესას ჩაარაბრახებს! მერწმუნეთ, ასეთ პირობებში გენიოსიც კი ვერაზოდეს ვერ შექმნის ხელოვნებას!

ასეთი შთაბეჭდილება გამოვიტანე 12 სექტემბერს „ლაღატის“ აღსრულებიდან ჩვენ ახალ სცენის-მოყვარეთა მიერ. ყველას ნიჭი ეტყობოდა, შრომა, მეცადინეობა, გულ-წრფელობა, მაგრამ ენა კი არც ერთს არ უფარგოდა. მშვენიერი იყო ზეინაზი, ტემპერამენტის მქონე, ენერგიული, სადაც ენერჯის გამოჩენა იყო საჭირო, ნაზი, სადაც სინაზე იყო საჭირო, დიდებული სადაც ამ თვისების გამოჩენა სჭირდებოდა, მაგრამ მის ხმასა და კილოს დიდი გაუმჯობესება და გაწრთენა უნდა. საუცხოვო იყო ხოლმე ოთარ-ბეგი, როცა როლში შევიდოდა და ფრთას გაშლიდა, როცა ამადლებული ხმა, გამოწვეული ძლიერ სულიერ ღელვისაგან, ჰფარავს ენისა და გამოთქმის ნაკლსა, მაგრამ როცა სიღინჯე იყო საჭირო, როცა თვითოეული ინტონაციით, განზედ გადასროლილი სიტყვით, გადაკვრით უნდა გამოეხატა ხოლმე მთელი თავისი გულის ნადები, ღრმა განზრახვანი, მთელი აზრი, — მაშინ მის მშვენიერ მიმიკას, სახითა და სხეულით ამ გრძობათა და განზრახვათა გამოხატვას ხელს უშლიდა იმერული, შორაპნული კილო. მაშინ ხმაზედაც იცნობდი ნაცნობი, თვალ-დახუჭულ რკი, ვინც იყო ოთარ ბეგი, და მისი სცენის გარეშე ვინაობა იმ წამსვე გაგირბენდა თავში!

ნიჭი, მიმიკა, მიხვრა-მოხვრა და სიღინჯესული-ვიმანის თვისება იყო, მაგრამ მასაც თავისებური ქართული კილო ჰქონდა, მის მიერვე შექმნილი, რომელიც ძლიერ ეხამუშებოდა ყურსა.

არას ვიტყვით სხვებზედ.


ხოლო ეს სამი მსახიობი მართლაც დაჯილდოვებულია ბუნებისაგან. ქართულ სცენაზედ შეიძლება არასოდეს არ აღესრულებინოსთ „ლაღატი“ ასე მწყობრად და სასიამოვნოდ. ზეინაზი კი პირველია სხვა ზეინაზთა შორის. მაგრამ ქართული, ქართული კოკლობს, და სანამ ქართულს არ ჩავუდგამთ სულსა და გულში ჩვენ მსახიობს, სანამ ბუნებრივის წესიც არ გადმოხეივთქამენ გრძობანი მათ ბაგეთაგან ქართულად, მანამ ჩვენ სასცენო ხელოვნებას ხელოვნება არ ეწოდება.

ამისათვის საჭიროა არა მარტო უცხო დრამატიული კურსები. ეს დრამატიული კურსები საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მარტო ხელოვნების გასაუმჯობესებლად, სხვათა საუნჯის გასაცნობად წავლენ ჩვენი არტისტები. საჭიროა ჩვენი ქართული სკოლა, აქ, თბილისში, სადაც ნამდვილი კულტი უნდა აღჩნდეს ქართულის მეტყველებისა. მხოლოდ სკოლის განმგებლისათვის აქვს აზრი უცხო დრამატიულ კურსებზედ წასვლას, უამისოდ

კი უცხო ენაზედ ნასწავლი მსახიობი ქართულ სცენაზე მოწამეა და ხანდახან ჯალათიცა. ეს ასეა და ასე იქნება მუდამ, სანამ მთელი საზოგადოება არ მიიღებს მონაწილეობას ჩვენი თეატრის საქმის ორგანიზაციაში. მარტო შენობის აშენება არ არის საკმარისი. საჭიროა მუდმივი თან ა თბილისში ქართულ დრამატიულ კურსების დასაარსებლად, სადაც საუკეთესო მსახიობნი, ქართულის მცოდნენი, და საუკეთესო მოყვარულნი ქართულ სასცენო ხელოვნებისა ხელ-მძღვანელობას გაუწევენ ახალგაზრდა მსახიობთ, ასწავლიან ენას, კილოს, გამოთქმას; ავრთვეთ თავის თავად შემუშავდება ყოველივე ესე, პირველად კარგი მასწავლებლებიც რომ გვაკლდენ, თუ ახალგაზრდა მსახიობნი და ძველნიც თავს მოიყრიან და მუდამ ივარჯიშებენ ქართულს ლაპარაკში და გამოთქმაში.

ჩვენა გვყავს ერთი ასეთი ქართველი არტისტი სცენის მოყვარე, რომლისგანაც მხოლოდ და მხოლოდ გაიგონებს კაცი ქართულ ენასა. ეს ბ. ნ. ი. ზურაბიშვილია. საუბედუროდ მას ისეთი ანტურაჟი ჰყავს სახალხო თეატრში, რომ ცოდვია მისი ნიჭისა და ხელოვნების პატრონს ასეთი ანხანაგები ჰყავდეს, მაგრამ ყველა აღტაცებულია ხოლმე ყოველთვის მისი თამაშით, — მისი გულწრფელობითა, მშვენიერი ხმით, საუცხოვო ქართულითა და ძლიერ განვითარებულის მიმიკითა. შეიძლება მისი მშვენიერი ქართულის ცოდნა და ლაპარაკი ერთას მხრივ მითიც აიხსნებოდეს, რომ გალახოვის ქრისტომატიით არ მოუწაზლავთ მისი სული და გული და არ დაუმაზინჯებიათ მისი ნიჭი მეტყველებისა. მაგრამ დავანებოთ თავი აქ ამ ადამიანს. იგი სხვა მხრივაც არტისტია, განხორციელება ხელოვნებისა. ხელოვნება გარედან შემოტანილი ბარგი კი არ არის მის სულსა და გულში, იგი მისი შინაგანი კუთვნილებაა. იგი არტისტად არის დაბადებული, და ყოველ მხრივ არტისტად, — მწერლად, მოლაპარაკედ, მსახიობად, მუსიკოსად, მომღერლად!.. მხოლოდ ის გვაწუხებს რომ ის ცეცხლი, რომელიც მას გულში უღვივის, მხოლოდ ნაპერწკლებსა სწირავს ხოლმე ხელოვნებასა, და არა მთელს თავის ალსა და სიცხოველეს... თუ ჩვენ მგავსი რამ გვექნა ზემოხსენებული დაწესებულებისა, იმედია ბ. ნ. ი. ზურაბიშვილიც დაგვეხმარება.


B.



ს ი მ დ ე რ ა .

მზეო, რას ბნელი მოგცავს,
რას შავმა ნისლიმა დაგფარა,
უშენოდ მთვარე არ მთვარობა,
მინდორში ვარდიც გამქეპნარა...
საჭრფოვ, ნუ გული გიკელია,
თორემ-სიცოცხლე გამხზარა!..

ი. მჭედლიშვილი.



ქართულ სამართლის ისტორია.

პირველი ნაწილი (VIII—XII) ს.

თავი I.

ქართულ სამართლის წყაროები.

მაგრამ საბედნიეროდ ბექასა და აღბუღას კანონებში ბაგრატ კურაპალატის სასამართლო წიგნის მარტო შესავალი-კი არ არის შერჩენილი, არამედ რამდენიმე სხვა მუხლიც. მე-100-ე მუხლი ხომ, სადაც ნათქვამია „ვინცა მოძღვარი იყოს, ანუ მეფეთა წინაშე ზრდელი და ნამყოფი კაცი იყოს, ან კარგი დიდუპარი, ან კარგი სოფლისა მამასახლისი იყოს, აგეთი კაცი იყოს, ის დასვი ბქედ: კკეიანი იქნების და კარგად ეცოდინების ბქობა და უსამართლოს არას იტყვის“ო, რასაკვირველია შესავალის გაგრძელებას წარმოადგენს. ამის გარდა 101, 102 და 103-ე მუხლიც უეჭველია ბაგრატ კურაპალატის სასამართლო წიგნიდან არის აღბუღას კანონებში შეტანილი. ყველა ამ მუხლებში მეფეა მოხსენებული და არა „პატრონი“ ათაბაგი: „თუ ეპისკოპოზმან მეფესა შესცოდოს, მეფისაგან ხელად შეპყრობა არ ეგების; ამაღ, რომე მისდა მუქაფად სასჯელისა დამამტკიცებელი არის, შეხვეწა, შეკაზმა მართებს ეპისკოპოზსა მეფისა“-ო (§ 101); 102 მუხლში ნათქვამია: „თუ მეფე ეპისკოპოზს გაუწყრეს,—გინდა უსამართლოდ, გინდა სამართლითა, - ხელთა შეპყრობა არცა მაშინ მოხდების, ამისთვის რომე მეორე მ. ფე ეპისკოპოზი არს და ქრისტიანეთა სჯულისა დამამტკიცებელი და არცა მეფესა სჯულისა საქმე აქვ“, აგრე შეიწყნარენ“ო; 103 მუხლი ამბობს: „თუ მოძღვარ-

მან, ანუ მდედელ მან, ანუ მონაზონმან მეფესა, ანუ ეპისკოპოზსა შესცოდოს ანუ სჯულსა, ანუ ეკლესიასა შესცოდოს, ხელთა არავისგან შეიპყრობის: გაკითხვა უნდა და, რაც მიზეზი დასწამონ, მას მიზეზსა უნდა გამონახვა და გადახდეთა“-ო. როგორც ბექას კანონებში, ისე საკუთრივ აღბუღას კანონებში ამ ზემოდ მოყვანილ 4 მუხლისა და კიდევ ერთ (§ 152) მუხლის გარდა არსად მეფე მოხსენებული არ არის, ყოველთვის პატრონ ათაბეგზეა ლაპარაკი; ბექაცა და აღბუღაც თავიანთ სასამართლო წიგნებს სამცხე-საათაბაგოსათვის აღგენდნენ და თავიანთ სამფლობელოში საქართველოს მეფისაგან იმდენად დამოუკიდებელნი იყვნენ, რომ მეფეს არც-კი იხსენიებდნენ: 99, 100, 101, 102 და 203-ე მუხლებში კი პირიქით მხოლოდ მეფეა მომქმედი და მთავარი პირი, ხოლო ათაბაგზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი; განა ეპისკოპოზს ან მოძღვარს, ან მონაზონს ათაბაგისთვის-კი არ შეეძლოთ შეეცოდნათ და ათაბაგი კიდევ გასწყრომოდათ? ყველა ეს მუხლები რომ მათი დადგენილი ყოფილიყო, ნუ თუ „პატრონი“ (ათაბაგი) ერთხელაც მაინც დასახელებული არ იქნებოდა? რასაკვირველია იქნებოდა და თუ 101, 102 და 103 მუხლში ათაბაგზე ლაპარაკი არ არის იმიტომ, რომ ეს კანონები ისეთ სასამართლო წიგნიდან არის ამოღებული, რომელიც მთელ სამეფოსთვის არის საზოგადოდ შედგენილი და არა კერძოდ სამცხე-საათაბაგოსთვის, ათაბაგ ბექა და აღბუღას კანონებსავით.

შემდეგ ყურადღების ღირსია, რომ ამ სამხავე მუხლში ბექა და აღბუღას სხვა კანონებისავით მაწყვერელ-საფარელზე კი არ არის ლაპარაკი, საზოგადოდ ეპისკოპოზებზეა ნათქვამი, ე. ი ამ მხრივაც საზოგადო ხასიათი აქვს და კერძოდ სამცხე-საათაბაგოს ნიშნები არ ეტყობა; დასასრულ არც ამ მუხლების შინაარსი ბექა-აღბუღას დროინდელ საზოგადოებრივ ვითარებას შეესაბამება: აქ ეპისკოპოზი და საზოგადოდ სამღვდელთა ბატონად არის გამოყვანილი, მათ წინააღმდეგ მეფე უძღურია, არაფერი არ შეუძლიან; ჩვენ ვიცით რომ დავით აღმაშენებელმა სამღვდელთა კოტა არ იყოს ფრთები შეაკვეცა და ბატონობას გადააჩვია; მე-XIII-ე საუკუნეში ხომ, როცა მონღოლები საქართველოს დაეპატრონენ, სამღვდელთა ძალა სრულდებით მოაკლდა; ამას თითონვე ამტკიცებენ; მე-XIII-ე საუკუნის საეკლესიო კრება საქართველოს მეფესა და დიდებულებსა სწორდა: „ალარავისაგან გუაქუს პატრიკი,—არცა სჯულსა და არც ეპისკოპოზთა, არცა მონაზონთა,

არცა ხუცესთა, არცა მღვდელთა, არცა მიპრონსა, არცა ქორეპისკოპოზთა; ყველა ყვილას უპატრიოდ, შეურაცხად, გინებით. ბასრობით ვჰყავთ“ (ქნკბი, II, 166); თუმცა შეუდევრ სამღვდლოების საქმე გამოკეთდა, მაგრამ მაინც წინანდელ ბატონობამდე გელარ მიიღწია. ცხადია, 101, 102, და 103 კანონი რომ ათაბაგ აღბუღას, ან იმ დროინდელ მღვის დაწერილი ყოფილიყო, სამღვდლოებას ასეთი გასაოცარი უპირატესობა არ ექმნებოდა. იმიტომ ეს სამივე მუხლი ისეთ ხანას უნდა ეკუთვნოდეს, როცა სამღვდლოება საქართველოში სრული ბატონი იყო და საერო მთავრობაზე მალა ექირა თავი, ესე იგი მე VIII—IX-ე საუკუნეებში. სწორედ ამ დროს იყვნენ მონაზონები ბატონად და მთავრის მიწვევის ბარათზე პასუხად შეეძლოთ შეეთვალათ, ბერს შენთან „არა ჰნებავს მოსვლა“—ო (ცა გგლ ხნძე, გვ. კთ-ლ); სწორედ ამ დროს შეეძლო მთავრისთვის ბერს ეთქვა: „შენ წარმავალთა ამით ჟამთა მეფე ხარო“ და მე შენ-კი არა, მხოლოდ ქრისტე ღმერთს ვემორჩილები და იმის გარდა სხვას არავისო (ibid გვ. ლ.) სწორედ ამ დროს იყო ბერი-არქიმანდრიტი იმდენად ძლიერი, რომ სრულებით თავისუფლად მეფეს ართმევდა საყვარელს სატროფს (ibid.). ასეთ ხანას, რასაკვირველია, დადგენდნენ: რაც უნდა შესცოდოს ეპისკოპოზმა, მოძღვარმა, მღვდელმა თუ მონაზონმა მეფესაო, მაინც ხელი არ ახლოთო, იმიტომ რომ „მეორე მეფე ეპისკოპოზი არის და ქრისტიანთა სჯულის დამამტკიცებელი და არცა მეფესა სჯულისა საქმე აქვს“—ო; განა ეს უკანასკნელი აზრი იმავე წინადადების გამოვრება არ არის, რომელიც გრიგოლ ხანძთელმა გვარამ მამფალს, საეკლესიო კრების საქმეებში ჩარევა მოიწოდინა თუ არა, პირში მიახალა „მორწმუნენი მეფენი“ სამღვდლოებასთან ერთად „შჯულის მოძღვრებას არ იკადრებდეს“—ო და „კანონსა შინა არავე ბრძანებულ არს ერისკაცისაჲ, ვითარმცა... შჯულის მოძღვრებასა იკადრებდა“ იმიტომ რომ ეს „შჯულისა და მღვდელთ მოძღვართა შეურაცხებაჲ არს“—ო (ibid მზ). ერთი სიტყვით თვით ამ კანონების შინაარსი გვიჩვენებს, რომ ისინი მე VIII—IX-ე საუკუნეს საზოგადოებრივ განწყობილების გამოხატველია და მე-99 და 100-ე მუხლის გაგრძელებას უნდა შეადგენდეს. 100 მუხლიც, რომელიც შიაც ნათქვამია: „ვინცა ანუ დიდმან ანუ [მცირემან] აზნაურმან, ანუ სხვამ ვინმე მონაზონმა ანუ მღვდელი მძლავრებით ხელთა შეიპყრას რასაცა გვარისა იყოს მის სისხლსა ხუთი ათასი სხვა ემატოს და თუ გვარიანი იყოს, ანუ ხელის მქონებე-

ლი მისსა სისხლსა ნახევარი ემატოს“—ო, უნდა ბაგრატის სასამართლო წიგნს ეკუთვნოდეს იმიტომ, რომ ამ მუხლში სწორედ იმ პირთა სასჯელზეა ლაპარაკი, რომელნიც 103 მუხლს დაარღვევდნენ.

დანარჩენ კანონებს სამწუხაროდ ისეთი ცხადი ნიშანი არ ეყება, რომ პირდაპირ შეეძლოს მკვლევარს სთქვას, ბაგრატ კურაპალატის სასამართლო წიგნს ეკუთვნის ესა თუ ის კანონი, თუ აღბუღას? შესაძლებელია, რომ აგრედვე 161, 162, 163, 164, 165, 166, 167, 167 bis, 168 და 169 მუხლიც ბაგრატისავე სასამართლო წიგნიდან იყოს ამოღებული; ჯერ ერთი იმიტომ, რომ ყველა ამ კანონებს ერთი საზოგადო თვისება აქვთ, რომელიც სხვა, არც ბეჟას, და არც აღბუღას დადებულ კანონებს არ მოეპოვებათ: თვითველ მუხლში სასჯელს უეჭველად კრულვაც ზედ მისდევს: „კრულ და წყულ შეჩვენებულ იყავნ“ (§ 161, 164, 167) ან „კრულ და წყულ, შეჩვენებულ იყავნ დაუსაბამოსა ღუთისა პირითა“ (§ 161, 163), „კრულ და წყულ შეჩვენებულ იყავნ და ცუდმცა არის ამაო მოსახსენებელი სიცოცხლე და სიკვდილი მისი“ (§ 162), „კრულ და წყულ და შეჩვენებულ იყავნ პირითა ღუთისათა და კანონსაცა ქვეშე იქმნების წმიდათა მოციქულთათა“ (§ 165), მე 167 bis მუხლი უმატებს მხოლოდ „და წმიდათა კრებათასა“—ო, „კრულ და წყულ და შეჩვენებულ იყავნ კაცი იგი ცათა შინა და ქვეყანასა ზედა... და კანონსა ქვეშე იყოს“ (§ 168) და დასასრულს § 169-ში „კრულ და წყულ და შეჩვენებულ იყავნ და ცუდმცა არის მოსახსენებელი სული და ხორცი მისი ამას სოფელსა და მას საუკუნოსა დაუსაბამოსა ღუთისა მადლითა და კანონსა ქვეშე არს წმიდათა მოციქულთასა“—ო. ერთი სიტყვით ყველა ამ კანონებს ზედ განსაკუთრებული ბეჭედი აზის და ბეჟასა და აღბუღას კანონებს არ მიავგანან; დამნაშავეს წყევა-კრულვა და მოციქულთა და წმიდათა კრებათა კანონების ქვეშე დაყენება განსაკუთრებულ საეკლესიო ელფერს აძლევს მათ, თითქოს სამღვდლოების კრების დადგენილება იყოს და არა სამართლის ძეგლი. კანონების ამ გვარი საეკლესიო ხასიათი და ელფერი სრულებით შეეფერება მე VIII—IX-ე საუკ. როცა სამღვდლოება ბატონობდა და ჩინებულად შეესაბამება ბაგრატ კურაპალატის სასამართლო წიგნს, იმიტომ რომ იმ კრებაში, რომელმაც ეს კანონების წიგნი შეადგინა ეპისკოპოზები ბლომად იღებდნენ მონაწილეობას: აკი მოსამართლედ ამოსარჩევ პირთა შორის იქ პირველ ადგილას „მოძღვარია“ დასახელებული და მოძღვარს შემდეგ „მეფეთა წინაშე

ზრდილი და ნამყოფი კაცი“ მისდევს, მაშასადამე აქაც სამღვდლოებას მეფეზე მეტი უპირატესობა აქვს. რაც უნდა იყოს ისედაც ცხადია, რომ §§ 161—169 შეუძლებელია ან ბექას, ან ალბუ-ლას ეკუთვნოდნენ; ცხადია იმიტომ, რომ ეს მუხ-ლები დაწარჩენ კანონებს ან ეწინააღმდეგება, ან არა და გაეორებაა, მხოლოდ წყველა-კრულვა აქვს მიმატებული; § 161-ში მაგალითად ნათქვამია: „რომელმანც, ვინცგინდა ღიდმან ანუ მცირემან კაცმან ღალატიო ძმა მოჰკლას, ანუ ღალატიო სხვა კაცი, კრულ და წყეულ, შეჩვენებულ იყავნ დაუსაბამოსა ღუთისაპირითა და ვითარ[ისა] ცა გვარისა იყოს კაცი იგი ორ-კეცი სისხლი დაუურვოს და ვინცა უშველოს და შეიწყნაროს კრულ და წყეულ შეჩვენებულ იყავნ“-ო. ხოლო § 117 სწერია: „თუ კაცი კაცმან ღალატიო მოჰკლას თორმეტი ათასი სისხლსა ემატოს“-ო; ამ გვარად გამოდის, რომ ერთისადა იმავე დანაშა-ულობისათვის ორი სხვადა სხვანაირი სასჯელი ყო-ფილა დაწესებული: 1) ორკეცი სისხლის დაურვე-ბა და შეჩვენება არამც. თუ მკვლელს, არამედ ყვე-ლას ვინც-კი მას ხელს გაუმართავს (§ 161), და 2) ერთი სისხლისა და ზედმეტად მხოლოდ 12000 თეთრი (§ 117), არც კრულვა შეჩვენება მკვლელს არც რასაკვირველია მის გულშემატკივარს, ერთი სიტყვით გაცილებით უფრო ნაკლები სასჯელია დაწესებული; ცხადია, რომ შეუძლებელია ეს ორი (161 და 117) მუხლი ერთსა და იმავე კანონმდებ-ელს ეკუთვნოდეს, ამ ორ მუხლის გარდა მესამე კანონიც არის, რომელიც მკვლელობას ეხება, იგი ბექას ეკუთვნის და მე-22-ე მუხლად ითვლება: „თუ ძმამან ძმა მოჰ-კლას, ერთსახლი და გაყოფელი იყოს და თუ გაყოფელი იყოს, სწორი და გინა ახლოს მეყვისი ორკეცი სისხლი დაუურვოს რაც გვარისა იყოს,— ამად რომე საღუთოდ ბრალია და საკანონო არის ასკეცი და აგრევე ამა სოფელს ძლივლა ინახვის კაცოვან, აილოს ვინცა გავლენიანი იყოს, ქედ-თა გარეთ ყოფა და გარდახვეწა პატრონისა და ღაშქართავან, გადახდევასა არავისგან მოხსენება უნდა: ებისკოპოზმა მისი წესი ოცის, რაც მართებს მან უყოს“-ო; თუმცა ეს მუხლი 161 მუხლზე უფ-რო ახლოა, მაგრამ მაინც არსებითი განსხვავება ეტყობა: იქ ორკეცი სისხლს რომ გადახდევინებ-დნენ მკვლელს, მას შემდეგ შეჩვენებდნენ და ვი-თარცა შეჩვენებულს ვერავინ მიეკარებოდა, არავის არ უნდა ეშველნა მისთვის თუნდ რომ გაჰირვებუ-ლი ყოფილიყო, იმიტომ რომ ვინც-კი მას მიიღებ-და ისიც წყეულ-შეჩვენებული გახდებოდა მაშინ;

ერთი სიტყვით, თუ თავის ქვეყანაში დარჩებოდა მკვლელი, მიმშლით ამოერთმეოდა სული, თუ არა და საუღდაოდ უნდა გადაკარგულიყო და იქნებ ამით სიკვდლს გადაჩენოდა. მე-22-ე მუხ-ლში-კი ორკეცი სისხლის დაურვებისა და მამულის ჩამ ათმევის და გადახვეწის მისჯის შემდგომ ები-სკოპოსი „რაცა მართებდა“ მას დაუნიშნავდა: საე-კლესიო სასჯელს ცოდვის მოსანანიებლად; ამ შემ-თხვევაში მკვლელს მაინც სიკოცხლის იმედი უნ-და ჰქონოდა, მხოლოდ საზ-გადოებას ჰშორდებო-და. ერთი სიტყვით ჩვენამდის სამ სხვადა-სხვა დროინდელ კანონს მოუღწევია: ერთი (§ 161) ბაგრატი კურაპალატის დროინდელი უნდა იყოს, მეორე (§ 22) ათაბაგ ბექას ეკუთვნის, მესამე (§ 117) კიდეც ალბულას.

შემდეგ 165-ე მუხლიცა და 135-ეც, რომე-ლიც ალბულას ეკუთვნის,*) ცოლის ძალით მოტა-ცებას შეეხება და ერთსა და იმავე სასჯელსაც აწე-სებს ამ დანაშაულობისათვის: „სრული სისხლის“ დაურვებას; განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარ-ეობს, რომ მე-165-ე მუხლში ამას გარდა სწერია: „კრულ და წყეულ და შეჩვენებულ არ პირთა ღუთისათა და კანონსამცა ქვეშე იქმნების წმიდა-თა მოციქულთასა“-ო; რა ფიქრად მოსასვლელია, რომ 165-ე მუხლიც ალბულას დაეწერინებინოს, როცა მას ამავე ბოროტ-მოქმედების წინააღმდეგ 135-ე მუხლი ჰქონდა შედგენილი; მას რომ წყვეა კრულვის ასეთი იმედი ჰქონოდა 135-ე მუხლსვე ზედვე მიყოლებოდა ამის გულისათვის ახალს მუხლს არ დასწერდა.

167-ე მუხლი უფრო საინტერესოა; იქ ნათ-ქვამია: „რომელმანც კაცმან რავინდარა მოპაროს და გამოჩნდეს—ორნივე თვალნ დაწვენენ და ანუ ხელ-ფეხი დაეჭრას, თუ საპატიყოსა ადგილსა არა მოეპაროს“-ო; (შემდეგ უნდა ჩამატოს 152 მუხლი, რომელიც ამავე საგანს ეხება:) ესეც იტო-დეთ: უმეფოსა და უდიდებულესის კაცისაგან თვალთა დაწვა; არავინა ღირა, ისიც ასრე რა-მე ან ღიდი საღარო, ან ეკლესია, ან ჯოჯი ან ღალატი ქნას; (შემდეგ ისევ 167-ე მუხლს ვა-გრძობთ) ვინ იყიდდეს [ნაპარევსა], ვითარცა და-ავასონ ვგრე მიყიდონ და ნაპარევი დაუკლებლივ მისსა პატრონსა მისცეს, და კრულ წყეულ და შეჩვენებულ იყავნ“-ო. 62-ე მუხლში კი სწერია: „ნაპარევისა პირველ ასრე გაჩენილა და ასრე

*) არის აგრეთვე § 46 და 47, რომლებიც ბექას ეკუთვნის, იქ ცოლის წაგვრისათვის „სისხლი ორ ნაწილი“-ა დაწესებული.

იქნას აწვა, რომე, თუ ცხენი და რაგინდარა კაც-
 მან მოიპაროს, თუ ხელთავე აქედეს თავის ნა-
 პარვეი იგი მისცეს და ერთიც ეზომი სხვა და თუ
 არა აქედეს აფიცოს საქონლის პატრონმან, რო-
 გორცა დაიფიცოს იგი მისცეს და ერთი ზომი
 სხვა“-ო. ცხადია, რომ შეუძლებელია 167-ე მუხ-
 ლიცა და 62-ეც ერთსა და იმავე კანონმდებელს
 დაეწერა; 62-ე მუხლი ბექას სამართლის წიგნს
 ეკუთვნის და ათაბაგის მოწმობით ნაპარვეის ორ-
 კეცად გადახდევინება პირველ ასე გაჩენილაო.
 167-ე მუხლში კი იმავე დანაშაულ ობისათვის რომ
 „კაცმან რაგინდარა მოიპაროს“ „ორნივე თვალნი
 დაეწენენ“ სასჯელადაო, თუ საპატიყო აღვილს
 მოეპაროს, ხოლო, „თუ საპატიყოსა აღვილსა არა
 მოეპაროს“ მაშინ სასჯელად მხოლოდ „ხელფეხი
 დაეჭრას“-ო; 152 მუხლში ახსნილია, თუ რა ით-
 ვლებოდა საპატიყოდ: „ან დიდი სალარო, ან ეკ-
 ლესია, ან ჯოგი ან ღალატი“. რასაკვირველია
 167-ე მუხლი გაცილებით უფრო მკაცრია, ვიდრე
 ბექას კანონი, ამასთანავე არც ამ მრისხანე სასჯელ-
 სა კმარობს და ზედმეტად წყველა-კრულვას უწე-
 სებს მპარავსა. უეჭველია 167-ე მუხლი 62-ე მუხ-
 ლზე უფრო ძველია; თამარ მეფის მემკვიდრის
 თხზულებიდანა სჩანს, რომ თვალთა დაწვა და
 ხელფეხის მოჭრა განსაკუთრებით თამარ მეფის წი-
 ნადა სკოდნიათ და საქართველოს დიდებულს
 გვირგვინოსანს ამოუკვეთნია ამ გვარი მკაცრი
 სასჯელები (ქცა. 472); ამისთანა მდგომარეობას
 გვიხატავს ბექას 62-ე მუხლი, სადაც ნათქვამია
 „პირველ ასე გაჩენილა“-ო, —ცხადია იმის წინად,
 თორემ ესლა ჩვენ კარგად ვიცით, რომ თამარ მე-
 ფემდე სხვანაირი სასჯელი ყოფილა. 152-ე მუხ-
 ლში აღნიშნულია, რომ თვალთა დაწვა მხოლოდ
 საპატიყო აღვილს მოპარვისათვის შეიძლებოდა
 მიესაჯათ, მაგრამ სასჯელის აღსრულება „უმეფო-
 სა და უდიდებულესის კაცისაგან არავინა ღირსა“-ო
 და თამარ მეფის ისტორიკოსიც ამტკიცებს, რომ
 ასეთ სასჯელებისათვის მეფის თანხმობა იყო საჭი-
 როო (ქცა. 472) და მემკვიდრის სიტყვით სწო-
 რედ ამ თავის უფლებით უსარგებლნია სახელო-
 ვანს თამარს და სასჯელს არ ამტკიცებდა თურმე
 (ibid); წინად როგორც სჩანს მეფეები ასე ღმობი-
 ბიერად არ უტყვირდნენ მპარავებს. ერთი სიტყვით
 167-ე და 152-ე მუხლი ათაბაგ ბექა და აღბუღას
 წინადროინდელ სასამართლოს წიგნს ეკუთვნის და
 ვგონებ იმავე ბაგრატ კურაპალატის დროისა უნდა
 იყოს.

ამგვარ მოსაზრების გამო 161, 162, 163,
 164, 165, 166, 167—152, 167 bis, 168, 169
 მუხლები ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგ-
 ნის ნაწყეტად მიმაჩნია და მაშასადამე 99, 100,
 101, 102, 103 და 104 მუხლების გაგრძელებად
 უნდა ჩაითვალოს.

ი. ჯავახიშვილი.

(შემდეგი იქნება.)

რედაქტორ-გამომცემელი პ. სურგულაძე.

გ ა ნ ს ხ ა ლ ე ბ ა ნ ი

გამოვიდა და იყიდება საქართველოს
 ევლას წიგნის მაღაზიებში
 ახლად შედგენილი
ჩ ა ნ ბ ი
 მ. გაჩეჩილაძის-მიერ.

წიგნში ჩართულია ბევრი ისეთი
 სტენები, ლექსები, სახუმარო და
 საოხუნჯო კუპლეტები რომელიც
 ჯერეთ არსად არ დაბეჭდილა. წი-
 გნში მოთავსებულია აგრეთვე სამი
 პიესა; „ადვოკატთან“ ვ. გუნიასი
 „ტანი სოვეტნიკის სიზმარი“ პო-
 ტაპენკოსი, „უბედური დღე“ ე-
 ბალანჩივაძისა. წიგნი 502 გვ. ჩართუ-
 ლია 60 მეტი სურათი, ჩვენი მწერლე-
 ბისა და საზოგადო მოღვაწეებისა. წი-
 გნი-მშვენიერი ყლით ღირს 1 მ. 35 კ.
 უყდოთ 1 მ. ფოსტით ვინც გამოი-
 წერს მას გასაგზავნი ფული არ გა-
 დახდება.

ადრე ი: Тифлисъ Типографія Т-во
 „Сорапань“ М. Гачечиладзе
 გამოცემა ახ. „სორაპანისა“